MES 4 21 0001415366

24/12/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 10.12.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:07 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:07სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

9. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10.დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
14.დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
13. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
14. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
15. ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	თამარ არღვლიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ნინო მახვილაძე	ა(ა)იპ -ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
2	ანა ქეშელაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	დავით წასიძე		ხარისზის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
4	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისზის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II

5	ნინო ხაბეიშვილი		არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	**II**
6	ლია ლურსმანაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	**II**
7	ლელა გერგეშელიძე		ასისტენტ-პროფესორი	**II**
8	ნინო გზირიშვილი		მოწვეული მასწავლებელი	**II**
9	ლელა ბუცხრიკიძე		დამსაქმებელი	**II**
10	ნინო მატარაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	**III, IV**
11	გიორგი გვალია		რექტორის მოადგილე	**III, IV**
12	ნინო ჟვანია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III, IV**
13	თინათინ ჭინჭარაული		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	**III, IV**
14	ნინო ჯავახიშვილი		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	**III, IV**
15	მაკა ლაშხია		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III, IV**
16	თამარ გეთიაშვილი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	**III, IV**
17	მამუკა თავხელიძე	შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	რექტორი	**V**
18	გულნაზ გალდავა		სამართლის სკოლის დეკანი, რექტტორის მოადგილე	**V**
19	მერაბ ტურავა		პროგრამის ხელმძღვანელი	**V**
20	მოგელი შენგელია			**V**

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
21	მერი ლომია		სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევების სამსახურის უფროსი	**V**
22	საფფეთ ბაირათუთან	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	რექტორი	**VI**
23	ნინო ჯოჯუა		პრორექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით; ხარისხის უზრუველყოფის სამსახურის უფროსი	**VI**
24	ილია ბოცვაძე		პროფესორი	**VI**
25	ირაკლი როდონაია		პროგრამის ხელმძღვანელი	**VI**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონ ული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ხათუნა კაჭარავა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	მაია გრძელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ეკატერინე ჩხუტიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II,III,IV
7	ქეთევან ოჩხიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ლილი ხეჩუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV
9	ცისანა ხუნდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV
10	ნათია ბარდიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV
11	თეკლე ჩხეიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III-IV
12	ნონა ზუბიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
13	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:07 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნიევრსიტეტის „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნიევრსიტეტის „ფსიქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.
5. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
6. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნიევრსიტეტის „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.
5. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
6. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: ა(ა)იპ - **ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის “მულტი მედია ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.**

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	27.11.2012, გადაწყვეტილება N715
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა **Master Program in Multimedia Journalism and Media Management**
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	დონე 7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჟურნალისტიკის მაგისტრი **Master of Journalism**
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა, 0321
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მარი ბროსეს ქუჩა N2, თბილისი, 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ხათუნა კაჭარავამ განაცხადა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული იყო ჟურნალისტიკის სფეროს განვითარების უახლესი გლობალური მიმართულებები და ტენდენციები. მისი თქმით საგანმანათლებლო პროგრამა დიდ როლს თამაშობდა რეგიონის ფარგლებში დარგის სპეციალისტების მომზადებაში. კონკრეტულად, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან (აზერბაიჯანი და სომხეთი) სტუდენტებს უვითარებდა კონფლიქტების მენეჯმენტის და ტოლერანტობის უნარებს, რაც ექსპერტის შეფასებით იყო ძალიან მნშვნელოვანი ნაწილი პროგრამაში. მისი თქმით, პროგრამა იყო ინგლისურენოვანი, ხანგრძლივობა - 2 აკადემიური წელი და ანიჭებდა ჟურნალისტიკის მაგისტრის კვალიფიკაციას. პროგრამას გააჩნდა ხარისხიანი მედია პლატფორმა, სადაც შესაძლებელი იყო სტუდენტებს განევითარებინათ პრაქტიკული უნარები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
კომპონენტი 2.2.

1. მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამაში აღინიშნოს როდის და რა რაოდენობის თავისუფალი კრედიტების აღება შეუძლიათ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სტუდენტს შეუძლია არჩევითი საგნები გაიაროს უნივერსიტეტის მასშტაბით არსებული ინგლისურენოვანი სასწავლო კურსებიდანაც.

კომპონენტი 2.3.

1. ორი ლექტორის ავტორობით წარმოდგენილ სასწავლო კურსებში დეტალურად გაიწეროს და დაზუსტდეს შეფასების სისტემა - თითოეული ლექტორის როლი შეფასების პროცესში და მათი წილი ფინალური გამოცდის შეფასებისას. ეს საგნებია: მედია სამართალი და

ეთიკა, გაძლიერებული ვიდეო რეპორტაჟის წარმოება, ჟურნალისტური ოსტატობა, მედია მარკეტინგი - აუდიტორიის შექმნა და ეფექტური კომუნიკაცია, მედია სტარტ-აპის მონეტიზაცია და მდგრადობა, მონაცემთა ანალიზი და მულტიმედიური თხრობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ანა ქეშელაშვილმა განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიწერა, შეეხებოდა თავისუფალი კრედიტების რაოდენობის მონიშვნას პროგრამაში. პროგრამის ხელმძღვანელმა, განმარტა, რომ პროგრამის მესამე სემესტრი ეთმობოდა არჩევით საგნებს, რაც შეთავაზებული ჰქონდათ სტუდენტებს და განსაზღვრული იყო კრედიტების რაოდენობა. მან, საბჭოს სხდომაზე გააზიარა პროგრამის დოკუმენტი, სადაც მე-11 გვერდზე, წარმოდგენილი იყო სამაგისტრო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა, მე-3 სემესტრში იყო ჩანაწერი არჩევითების სხვა პროგრამებში ინგლისურენოვანი საგნებიდან, სადაც მითითებული იყო სემესტრი და 4 კრედიტი. ეს იყო თავისუფალი კომპონენტი და ჩანაწერის ასეთი ფორმულირება, სტუდენტებისათვის უფრო გასაგებ ენაზე იყო შერჩეული. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, ჩანაწერი არსებობდა პროგრამაში, შესაბამისად ინსტიტუცია არ იზიარებდა პირველ რეკომენდაციას. თუმცა მისი განმარტებით, შესაძლებელი იყო ამის მიღება რჩევის სახით, რათა გასწორდეს ტერმინოლოგია და ყველა დოკუმენტში იყოს ერთიდაიგივე ჩანაწერი და დასახელება აღნიშნული კომპონენტისა. გარდა ამისა, უშუალოდ არჩევითი საგნები, სამართლისა და საერთაშრისო ურთიერთობების სკოლის მიერ იყო შეთავაზებული და ყველა სემესტრში ცხადდებოდა მიღება კონკრეტულ საგნებზე. ასევე შემუშავებული იყო განახლებადი მოდული, რომელიც გაცვლითი პროგრამით ჩამოსული საერთაშორისო სტუდენტებისთვის იყო.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო მახვილაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებისას მიიღეს ბევრი სასარგებლო რჩევა და ინფომრაცია. მისი თქმით, მეორე რეკომენდაციაში გაწერილ სილაბუსებში მკაფიოდ იყო გაწერილი და ჩანდა საგნის რომელი ნაწილი ეკავა ლექტორს და ასევე რა წილი ჰქონდა შეფასების ნაწილში. გარდა ამისა, საგნები შინაარსობრივად სრულად ინტეგრირებული იყო, მაგრამ შეფასებები, როგორც შუალედური, ისე - დასკვნითი, ცხადად იყო გაყოფილი და გამიჯნული ორ ლექტორს შორის. ასევე, მკაფიოდ იყო განსაზღვრული საგნის თითოეული ლექტორის შეფასებების წილი საგნის საბოლოო ქულაში. საგნები, შეფასების კომპონენტებიანად, შემუშავებულია ლექტორების მიერ. დაწესებულების წარმომადგენელმა, საბჭოს სხდომაზე გააზიარა სილაბუსი და ისაუბრა რომელ ნაწილში, რაზე იყო საუბარი. მისი თქმით ნაწილი, სადაც მოცემული იყო, რომელ შეხვედრაზე, რა თემები განიხილება, რა დავალებებია და რომელი ლიტერატურა. მე-13 შეხვედრაზე, პირდაპირ იყო მითითებული, რომ მობილური რეპორტინგის „ვორკშოპი“ შემოდის მაშინ, როდესაც შემოდის ლექტორი ანა დავითაშვილი. მითითებულია ლექტორიც და ასევე დასათაურებულია. სტუდენტებისათვის ცხადი ხდება, რომ ასევე მეორე ლექტორი ერთვება. ხოლო ფინალურ დავალებებში არის გაწერილი შეფასების კოპმონენტები, სადაც ყველა კომპონენტი ეხება სილაბუსის ორივე ნაწილს. ბოლო ფინალური სიღრმისეული რეპორტაჟი მოიცავს, როგორც „მობაილ რეპორტინგის“ ნაწილს, რომელიც არის „ვორკშოპი“ და სილაბუსში არის უნარების განვითარებისთვის, რომელიც მობილურ რეპორტინგს ჭირდება. ასეთივე სახით არის, ყველა სასწავლო კურსში, რომელიც მითითებულია რეკომენდაციაში. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, შესაძლებელია ფორმატი იყოს ერთნაირი, თუმცა სხვადასხვა თანმიმდევრობით იყოს მოცემული. დაწესებულების პოზიციით, სტუდენტებისათვის იყო მკაფიო და გასაგები, თუ რომელი ლექტორი რა ნაწილს ასწავლდა. დაწესებულება არ იზიარებდა აღნიშნულ რეკომენდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურაში ნათლად ჩანდა, რომ 19 კრედიტიდან მესამე სემესტრში

სტუდენტებს ჰქონდათ საშუალება აერჩიათ თავისუფალი საგნები სხვა ინგლისურენოვანი პროგრამებიდან. მისი თქმით ჩანდა რაოდენობაც და დროც. გარდა ამისა, მისი თქმით შესაძლებელი იყო, არ დამდგარიყო ამის საჭიროება, რადგან დიდი რაოდენობის სფეროს არჩევითი საგნები იყო წარმოდგენილი. საბჭოს წევრი, ასევე დაინტერესდა რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს. მისი თქმით, გადაამოწმა საქაღალდე, სადაც იყო 5 ხელშეკრულება და ხუთივე ხელშეკრულება იყო სტანდარტული ფორმით შედგენილი. ხელშეკრულებებში ყველგან ეწერა 3 სტუდენტი. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რამ გამოიწვია აღნიშნული რჩევა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, როგორც ქართულენოვან, ასევე ინგლისურენოვან დოკუმენტში წარმოდგენილი არ იყო ახალი მოთხოვნების შესაბამისად. სწავლის შედეგებად იყო გაწერილი კრიტიკული ანალიზი, ტრანსფერული უნარები, კომუნიკაცია და ღირებულებები. ნაკლებად იყო გაკეთებული აქცენტი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ეს იყო ტექნიკური ხარვეზი თუ გამიზნული პოზიცია? რადგან, მისი თქმით, სილაბუსებში სწავლის შედეგები სამი მიმართულებით იყო გაწერილი. ასევე, არჩევით სასწავლო კურსთან დაკავშრებით „მედია ორგანიზაციის მენეჯმენტი, მედია ორგანიზაციის მართვა“. საბჭოს წევრი დაინტერესდა, აღნიშნული სასწავლო კურსი, თავისი სწავლის შედეგებით და მითითებული ლიტერატურით, რამდენად გადიოდა მედია ორგანიზაციების მართვაზე? საბჭოს წევრის შეფასებით, ეს კურსი უფრო მეტად იყო მენეჯმენტის საფუძვლების კურსი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად შესაბამისობაში იყო კურსის სილაბუსში გაწერილი სასწავლო კურსის მიზანი და სწავლის შედეგები?

საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშრებით. მისი თქმით მან ვერ ნახა წარმოდგენილ დოკუმენტებში შესაბამისი დოკუმენტი. წარმოდგენილი იყო მხოლოდ ხელშეკრულება კვლევის ჩატარებასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ნახა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი და თუ გაეცნო, რა ფორმით იყო წარმოდგენილი ის? ამავე კითხვით მიმართა საბჭოს წევრმა ინსტიტუციას და აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევა იყო სტანდარტის პირდაპირი მოთხოვნა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ექსპერტებმა ნახეს პროგრამა და პროგრამაში იყო ასახული, თუმცა თვითშეფასების ანაგარიშში იყო ჩანაწერი, რომ „სტუდენტებს შეთავაზებული ჰქონდათ 19 კრედიტი არჩევითი დისციპლინების სახით. ასევე, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ არჩევითი საგნები გაიარონ უნივერსიტეტის მასშტაბით არსებული სხვა ინგლისური სასწავლო კურსებიდან. ექსპერტის მოსაზრებით აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებდა მეტ დაკონკრეტებას. პროგრამაში იყო განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, თუმცა თვითშეფასების ანგარიშში არა. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშრებით, ექსპერტმა განმარტა, რომ მისი მოსაზრებით მისასალმებელია, როდესაც ერთ საგანზე ორი ლექტორია წარმოდგენილი. თუმცა, საბოლოო შეფასებაში ბუნდოვანია საბოლოო შეფასების კრიტერიუმები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო ქიმერიძემ შრომის ბაზართან დაკავშირებულ შეკითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ ამასთან დაკავშირებით საუბარი და ინსტიტუციის მხრიდან მოისმინეს განმარტებები. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, მათ ჰქონდათ სამაგიდო კვლევა ჩატარებული.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო მახვილაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს და განაცხადა, რომ პროგრამის შედეგები იყო ზემოთ აღნიშნულ სამ კომპეტენციაზე გამსვლელი. მისი თქმით, ჩაშლილი იყო სხვდასხვა მიზნებზე და შედეგებზე. შინაარსობრივად 8 მიზანი და 8 შედეგი აქვს პროგრამას, რომლებიც ყველა გადიან 3 კომპეტენციაზე. აკადემიური საბჭოს, თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის შედეგად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კიდევ უფრო მეტად ჩაეშალათ.

საბჭოს თავმჯდომარემ დააკონკრეტა საჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის შეკითხვა, თუ რამდენად გადიოდა სასწავლო კურსის სწავლის მიზნები და შედეგები დარგობრივ კომპეტენციებზე?
საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის თქმით, ახალი მოთხოვნის შესაბამისად, პროგრამის წარმოდგენისას, ძირითადად აქცენტი უნდა გაკეთდეს დარგობრივი უნარების გაწერაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო მახვილაძემ უპასუხა, რომ სწავლის შედეგებიდან ცოდნა, ტექნიკური უნარები, პრაქტიკა და დანარჩენი, მოიცავდა დარგობრივ და სხვა არადარგობრივ კომპეტენციებს. ისინი თვითონ შინაარსში იყო ჩაშლილი და ყველაფერ ამას მოიცავდა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა შემდეგი შეკითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ თუ აკადემიურმა საბჭომ პროგრამის შედეგების ფორმულირებისას ასეთი მეთოდოლოგია შეარჩია, რატომ მიიღო პროგრამის ჯგუფმა ის გადაწყვეტილება, რომ ჩაეშალა ცოდნა/გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის ნაწილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით წასიძემ აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების ტერმინები გამოტანილი იყო სათაურებად. თითოეულ მათგანში ჩადებული იყო დარგობრივი ცოდნის აღმწერი კომპონენტები. რაც შეეხებოდა სილაბუსებს, ამ შემთხვევაში დაწესებულების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, რომ როგორც ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩო მოითხოვდა და ითვალისწინებდა, განესაზღვრათ სამი კომპეტენციის შესაბამისად. ისენი ერთმანეთთან დაკავშირებულები იყვნენ და ერთმანეთისგან გამომდინარეობდნენ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა შეკითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, თუ რამდენად მისაღები და მოწონებული იყო აღნიშნული მიდგომა?
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა უპასუხა, რომ აღშნული კითხვა მათაც ჰქონდათ, მაგრამ ასეთი მოსაზრება მოისმინეს ამასთან დაკავშირებით, რომ სილაბუსში სტუდენტისთვის დეტალურად და ზუსტად უნდა იყოს გაწერილი თუ რას მოითხოვდა მისგან ესა თუ ის სასწავლო კურსი. მისი თქმით, აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ სტუდენტმა უნდა იცოდეს რა არის მისი საბოლოო შედეგი, რადგან სტუდენტი პირველ რიგში ნახულობს სილაბუსს და ბევრი კითხვა უჩნება სილაბუსთან დაკავშირებით. შესაძლებელია, სტუდენტი არ გაეცნოს პროგრამას, თუმცა მისთვის დეტალურად უნდა იყოს გაწერილი სილაბუსები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო მახვილაძემ სასწავლო კურსთან დაკავშირებით „მედია ორგანიზაციების მენეჯმენტი“ აღნიშნა, რომ საგანი შინაარსობრივად მოიცავს, მედიის, როგორც ბიზნესის მართვას და უშუალოდ ორგანიზაციულ მართვასაც. მისი თქმით, თემები არის გაერთიანებული, ხოლო საგნის იდეა, როდესაც ის არჩევით სასწავლო კურსებში იქნა შეტანილი, იყო ის, რომ ძირითად საგნებში მენეჯმენტის საგნები იყო ფოკუსირებული ანტრეპრენერულ ჟურნალისტიკაზე. შესაბამისად, გაჩნდა საჭიროება, რომ სტუდენტს დამატებით, თუ წარმოუდგენია კარიერის გაგრძელება, არა როგორც ანტრეპრენერს, არამედ არსებულ დიდ მედია ორგანიზაციებში მენეჯმენტის ნაწილში.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, აღნიშნა, რომ წარმოდგენილ სილაბუსში აქცენტი იყო გაკეთებული, რომ მიზანი არის „აღჭურვოს სტუდნეტი მენეჯმენტის და მედია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპების შესახებ თეორიული ცოდნით და სტუდნეტს მისცეს ცოდნა მენეჯმენტის ფუნქციების შესაახებ“, თუმცა თემები ჩაშლილია კვირების მიხედვით და ძირითად ლიტერატურად მითითებულია ორივე წყაროში სტივენ რობინსის მერი კოლტრერის სახელმძღვანელო - „მენეჯმენტი“. საბჭოს წევრის თქმით, გარდა იმისა, რომ აღნიშნული სახელმძღვანელო არ იყო სამაგისტრო საფეხურისთვის, ძირითად ლიტერატურაში ეს რესურსი საერთოდ არ იყო მითითებული, არამედ მხოლოდ კურსების მიხედვით კვირეულ ჩაშლებში, ხოლო სილაბუსში, ძირითად ლიტერატურად სხვა წყაროები იყო მითითებული. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ძირითად ლიტერატურაში სხვა რამე იყო მითითებული, ხოლო კვირეულ ჩაშლაში სხვა?
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო მახვილაძემ განმარტა, რომ შესაძლებელია ეს ყოფილიყო ტექნიკური ხარვეზი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით წასიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი იყო ხელშეკრულება და აკრედიტაციის საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე იყო აღნიშნულთან დაკავშირებით საუბარი, რომ კვლევა, რომელიც ჩატარდა 4 ინსტიტუციის დაკვეთით, ინსტუტუციის წევრებს შორის არ მოხდა შეთანხმება იმასთან დკაავშირებით, რომ ამ კვლევის შედეგები გასაჯაროებული და ხელმისაწვდომი ყოფილიყო სხვა დაინტერესებული პირებისათვის. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ამ მიზეზის გათვალისწინებით არ მოხდა ბაზრის კვლევის დოკუმენტის ჩადება სააკრედიტაციო დოკუმენტაციაში. მისი განმარტებით გარდა ამისა, მე-5 საქაღალდეში იყო ჩადებული დამსაქმებელთან შეხვედრის კვლევის ანალიზი, რაც ყოველწლიური ხასიათისაა. ინსტიტუცია, ყოველწლიურად დეკემბრის თვეში, ხვდება შრომის ბაზარზე დარგობირვ ორგანიზაციებს და მათთან იმართება პროგრამასთან დაკავშირებული მსჯელობა ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული შეხვედრის ანალიზი და ერთგვარი შრომის ბაზრის კვლევა წარმოდგენილია მე-5 სტანდარტში.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენილის მიერ ნახსენებ საბჭოს სხდომაზე, საბჭოს წევრების მიერ არ იყო ხაზგასმა ამასთან დაკავშრებით, რაც საბჭოს წევრის მოსაზრებით იყო შეცდომა. საბჭოს წევრის თქმით, შრომის ბაზრის კვლევა არ არის წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა ქეშელაშვილმა, განაცხადა, რომ ძალიან მნიშნელოვანი იყო შრომის ბაზრის კარგად გაცნობა, რათა პროგრამა განვითარდეს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამა ამზადებს სტუდენტებს 3 სხვადასხვა ქვეყნიდან, ხოლო სტუდენტები ვერც კი ასწრებენ სწავლის დასრულებას ისე საქმდებიან 3 განსხვავებული მედია პოლიტიკის მქონე ქვეყანაში. ინსტიტუციას მუდმივი კომუნიკაცია აქვს, როგორც საქართველოს წარმომადგენლებთან, ასევე აზერბაიჯანსა და სომხეთში.

საბჭოს წევრი, თამარ ჩხეიძე დაინტერესდა რეკომენედაციასთან დაკავშირებით, სადაც მისი განმარტებით აქცენტი გაკეთებული იყო იმ სასწავლო კურსებზე, სადაც ორ პერსონას მიჰყავს კურსი. საბჭოს წევრის განმარტებით, რეკომენდაცია იმგვარად იყო ფორმულირებული, რომ თითქოს ექსპერტები ნაკლებად დააკმაყოფილა შემფასებლების წილმა საერთო შეფასებაში. თუმცა, მოხსენების დროს ნახსენები იყო კრიტერიუმებიც. საბჭოს წევრი დაინატერესდა, იყო თუ არა შესაძლებელი კოლეგიური შეფასება განხორციელებულიყო ორი პერსონის მიერ და მათი წილი ცალ-ცალკე არ ყოფილიყო დანაწილებული, თუ ექსპერტების პოზიცია გამოიწვია კრიტერიუმების ნაკლებობამ საბოლოო შეფასების დროს, რომელიც არის მოცემული სილაბუსში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯოდმარემ, განმარტა, რომ სესიების დროს იყო საუბარი ამ საკითხთან დაკავშირებით და ასევე რჩევებშიც იყო წარმოდგენილი, რომ უფრო მეტი შემხებლობა იყოს ორი ლექტორის მიერ წარმოდგენილ საგნებს შორის. საკითხი, შესაძლებელია განხილული იყო, ისე, რომ გაერთიანდეს და ერთი შეფასების სისტემა შეიქმნას, თუმცა ექსპერტის თქმით უმჯობესია, უფრო მეტად დაიხვეწოს ორი ლექტორის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა. გარდა ამისა „მედია ეთიკის და მედია სამართლის“ ნაწილში ყოველთვის იქმნება პრობლემა, რადგან მედია ეთიკას კითხულობს ჟურნალისტი და ეს არის მედია ეთიკის საკითხი, ხოლო სამართლის შემთვევაში აუცილებელია, რომ სამართლის სფეროში იყოს ლექტორი კარგად გარკვეული, რათა წაიკითხოს მედია სამართლის საკითხები. ექსპერტის თქმით, ყოველთვის ქმნის ორი ლექტორის არსებობა ერთ სასწავლო კურსზე პრობლემას, როგორც შეფასების, ასევე საკითხების ინტეგრირების ნაწილში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო მახვილძემ განაცხადა, რომ „მედია ეთიკის და სამართლის“ საგანზე, სადაც ასწავლის ორი ლექტორი, მედია ეთიკის ნაწილს კითხულობს სხვა ლექტორი (ნინო ჯაფიაშვილი), ხოლო სამართლის ნაწილს სხვა ლექტორი (თამთა მურადაშვილი). საგნის მსველელობის დროს, მედია ეთიკის ნაწილში, ლექტორი სტუდენტებს ესაუბრება ეთიკურ გადაწყვეტილებებზე, რომელიც შეიძლება მოითხოვდეს კანონის დარღვევას, მაგრამ ეს არის სარედაქციო გადაწყვეტილება იმიტომ, რომ საზოგადოებას, ასე

სჭირდება, მაგალითად: ვიღაც შევიდეს პრივატულ სივრცეში და ამით დაარღვიოს კანონი, იგივე საკითხს მეორე მხრიდან ამუშავებს საგნის მეორე ლექტორი, სადაც საუბარია იმ სამართლებივ მხარეზე, ასეთი სარედაქციო გადაწყვეტილება, როგორ შეუძლია დაიცვას მედია ორგანიზაციამ სამართლებრივად. შესაბამისად საგანი შინაარსობრივად არის ინტეგრირებული.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ გაეცნო ექსპერტთა ჯგუფი სამაგისტრო ნაშრომებს და როგორ შეაფასებდნენ ექსპერტები სამაგისტრო ნაშრომების შინაარსს დარგობრივ ჭრილში და ასევე სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესებს.
ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტები გაეცნენ სამაგისტრო ნაშრომებს. მისი თქმით, პროგრამაში არიან უცხოელი სტუდენტებიც და მათი სამაგისტრო ნაშრომებიც იყო წარმოდგენილი. საინტერესო იყო პრაქტიკული ნაწილი, თუმცა ექსპერტის თქმით საჭირო იყო მეტი გაძლიერება. პროგრამაში იყო წარმოდგენილი კვლევის მეთოდები და ასევე სამეცნიერო ნაწილი, თუმცა საჭიროა მეტი ყურადღება, რადგან სამეცნიერო ნაწილი წარმოადგენს სუსტ წერტილ სამაგისტრო ნაშრომებში. ექსპერტის განმარტებით, ტექნიკურად კარგად იყო შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები. ჩანდა, რომ პრაქტიკული კომპონენტები კომპონენტები კარგად ხორციელდება პროგრამაზე, თუმცა ექსპერტების პოზიციაა, რომ კიდევ უფრო კარგად გაღრმავდეს სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი.
დაწესებულების წარმომდგენელმა, ანა ქეშელაშვილმა სამაგისტრო პროექტებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ერთ-ერთ რჩევაშიც იყო ნახსენები ამასთან დაკავშირებით და ამ მიზნით შევიდა ცვლილებები მიმდინარე სამაგისტრო პროეტების მოთხოვნებში და გაძლიერდა ეს საკითხები. კონცეპტუალური განაცხადი თავის თავში გულისხმობს აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვას, პირველადი მონაცემების შეგროვებას და კონკრეტულ ფოკუსირებულ კვლევას თემაზე, რომლის გარშემოც აწყობს პორტფოლიოს სტუდენტი, ასევე წერილობით და აკადემიურ გამართულ ნაშრომს.
დაწესებულების წარმომადგენლის, ნინო მახვილაძის თქმით აღნიშნული საკითხები იყო მე-4 დანართში, სადაც არწერილია, რომ სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს, როგორც პრაქტიკულ კომპონენტს, ასევე კონცეპტუალურ განაცხადს, რომელიც არის კვლევითი კომპონენტი. 40% საბოლოო ნიშნისა იწერება კონცეპტუალურ განაცხადში, ხოლო 60% პრაქტიკულ კომპონენტში. ასევე სტუდენტები მონაწილეობენ კვლევით პროექტებში.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია შემუშავდეს და წარმოდგენილი იქნას შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი.
2.რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.
3.რეკომენდებულია პროგრამის სახელწოდებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის სტატუსი პროგრამაში.
4. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად

რჩევები:

1. სასურველია, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათავის აუცილებელი საგამოცდო ტესტების ნიმუშები, როგორც ინგლისური ენაში, ასევე, სპეციალობაში, ჩარიცხვამდე სამი თვით ადრე იყოს ხელმისაწვდომი უსდ-ს ვებგვერდზე.
2. სასურველია, რომ ყველა წარმოდგენილ დოკუმენტში, საგანმანათლებლო პროგრამის IV სემესტრის აქტივობა მოიხსენიებოდეს ერთი და იმავე სახელწოდებით „სამაგისტრო

პროექტი“ (როგორც ეს აღნიშნულია კურიკულუმის საგნების ბადეში და არა „სამაგისტრო ნაშრომი“, როგორც ეს სხვა შემთხვევებშია).

3. სასურველია გადაიხედოს არჩევით სასწავლო კურსში- „ მედია ორგანიზაციის მენეჯმენტი“ სავალდებულო ლიტერატურა კურსის მიზნებისა და მისაღწევი შედგების უკეთ უზრუნველსაყოფად.
4. სასურველია, რომ სასწავლო კურსებში ორი ლექტორით, რომლებშიც კონკრეტული საკითხების სწავლება მიმდინარეობს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, იყოს მეტი კვეთა, ვინაიდან თუკი სილაბუსის ავტორი ლექტორები საკუთარი მიმართულებები სწავლებას დაიწყებენ და დაასრულებენ ერთმანეთთან შეხების გარეშე, მაშინ კონკრეტული მიმართულებების ერთ სასწავლო კურსში წარმოდგენა აზრს კარგავს. ასეთი სასწავლო კურსებია: მედიის სამართალი და ეთიკა, მონაცემთა ანალიზი და მულტიმედიური თხრობა.
5. პრაქტიკული, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს პროგრამის ფარგლებში ჰქონდეთ სასწავლო პრაქტიკის არჩევის შესაძლებლობა;
6. სასურველია სამაგისტრო ნაშრომი გაძლიერდეს სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტით.
7. სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესების დაცვას.
8. გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დიდ როლს თამაშობს რეგიონის ფარგლებში დარგის სპეციალისტების მომზადებაში, სასურველია თუ პროგრამის რეაკრედიტაციის შემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდულ შეფასებაში ჩაერთვებიან რეგიონის და უცხოელი დარგის ექსპერტები, რაც ხელს შეუწყობს დარგის სიახლეების და აქტუალური თემების დანერგვას საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:33

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის “მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011

წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის "მულტიმედია ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლ ოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მოდის დიზაინის ტექნოლოგიები Fashion Design and Technology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილების თარიღი 06.03.2020 გადაწყვეტილების №20
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მოდის დიზაინის ტექნოლოგიები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიზაინის ბაკალავრი Bachelor of design
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი - 0212
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., N 68 თბილისი, სასწავლო კორპუსი N 1, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადეს, ნინო იმნაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და დავით კაპანაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულებს არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაია გრძელიძემ განმარტა, რომ მოდის დიზაინის სფერო და განსაკუთრებით სამრეწველო წარმოება, რომელიც პირადი მოხმარების საგნებს აწარმოებს ქვეყნის ინდუსტრიისთვის ყველაზე ფართო, მრავალფეროვანი და მაღალ რენატბელური დარგი იყო. მისი თქმით, ადამიანური რესურსის თვალსაზრით საკმაოდ დიდი იყო მოთხვნა. ქვეყანაში დარგის განვითარებისათვის, დიდი რესურსია, შესაბამისად ბოლო წლებში დიდი განვითარება ჰპოვა დარგმა და გაიზარდა მოთხოვნა მაღალ კვალიფიციურ სპეციალისტებზე. რაც ასევე ჩანს, ასევე აბიტურიენტთა დაინტერესებაში და ჩანს სტუდენტთა რაოდენობაზე. ექსპერტის თქმით, 20 სტუდენტზე აკეთებს განაცხადს **„მოდის დიზაინისა და ტექნოლოგიის“ ს აბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამამ 2020 წელს მიიღო 2 წლით პირობითი აკრედიტაცია და შევიდა საგანმანათლებლო ბაზარზე. პირველ წელს 20 ვაკანტური ადგილიდან 20-ივე შეივსო, ხოლო 2021 წელს 38 პირველი განაცხადი იყო გაკეთებული და 20 ვაკანტურ ადგილზე 17 სტუდენტით დაკომპლექტდა პროგრამა. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამამ დადებითად წარმოაჩინა თავი, როგორც პროგრამის პაკეტით, ასევე განმახორციელებლი პერსონალის თვალსაზრისით და მატერიალურ ტექნიკური ბაზით. ექსპერტის თქმით, ის, რომ ინსტიტუცია გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ახორციელებს მსგავსი მიმართულების პროგრამებს, სწორედ ამის დამსახურებაა ის ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური და მეთოდური ბაზა, რომელიც გააჩნია ინსტიტუციას. ექსპერტმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, განმახორციელებელი ჯგუფის მაღალი კვალიფიკაციის შესახებ. ექსპერტის განმარტებით, აკრედიტაციის საბჭს გადაწყვეტილებით პირობითი აკრედიტაციის პირობებში, პროგრამას მიღებული ქონდა 10 რეკომენდაცია და რჩევები, რომელიც სრულყოფილად აქვს გათვალისიწნებული პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფს.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა მიეთითოს შეფასების ინდიკატორები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც გათვალისწინებულია დოკუმენტში

„არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“;

2. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები და რიგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ლიტერატურა (მაგ.: „გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები“ ძირითად ლიტერატურას დაემატოს ტანაგებულების ანთროპომეტრიასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო; სილაბუსში „ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვ- 7 ლები - ანთროპომეტრია“ – უნდა დაემატოს ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირების საფუძვლების შესაბამისი ლიტერატურა);
3. უცხოეთის უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები უნდა იყოს ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტში, რომლის მეშვეობით დადგინდება უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან დადარების შედეგები, მათ შორის - თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით რა ასპექტები და მიდგომები იყო გათვალისწინებული პროგრამის და/ან მისი ცალკეული კომპონენტების დონეზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ხაბეიშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტტა ჯგუფმა იმუშავა თავდაუზოგავად და კომპეტენტურად. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს ინსტიტუციას, ჰქონდა აღნიშნული დოკუმენტი მუშა მდგომარეობაში, რომელიც უკვე მზად იყო და დაწესებულების წარმომადგენლის თქმით თუკი სააბჭოს წევრების სურვილი იქნებოდა, შესაძლებელი იყო მისი გაზიარება საბჭოს სხდომაზე. შინაარსობრივად იზიარებს ინსტიტუცია პირველ რეკომენდაციას და რეალურად შესრულებულია. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი პერიოდულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამის დადარებას უცხოურ მსგავს პროგრამებთან და საუკეთესო პრაქტიკის განხორციელებას, დარგთან მიმართებით სიახლეების დანერგვის მიზნით. მისი თქმით, დადარების პროცესი მიმდინარეობდა უწყვეტად და თვითშეფასების ანგარიში იყო აღნიშნული თუ რომელ კონკრეტული უნივერსიტეტის მსგავსი პროგრამები იყო განხილული. ინსიტიტუციამ პრიორიტეტი მიანიჭა ისეთ უნივერსიტეტებს, რომლებთანაც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთს აქვს მემორანდუმები გაფორმებული. (მაგ: ლისაბონის უნივერსიტეტი). დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას ითვალისწინებს იმ ნაწილში, რომ ფორმალიზებული არ იყო აღნიშნული დოკუმენტი. უნივერსიტეტი მზად არის უზრუნველყოს დადარების პროცესის დოკუმენტური გაფომება.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ლია ლურსმანაშვილმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ მისაღებია ინსტიტუციისათვის. პროგრამის ხელმძღანელის თქმით, რეკომენდაციაში აღნიშნული ლიტერატურა უკვე მოიძია ინსტიტუციამ და უკვე მოხდა მათი ჩართვა სასწავლო პროცესში, თუმცა ეს საკითხები წარმოდგენილი იყო რამდენიმე ლიტერატურაში. (მაგ: ტან აგებულება, ტანადობა, სხეულის პროპორციები) ასევე სკურპულოზურად არის განხილული სალექციო კურსებში, მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები, რომელიც საჭიროა ზომითი ტიპოლოგიის დახასიათებისათვის. თუმცა, დაწესებულების წარმომადგელის თქმით, ინსტიტუცია მაინც იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას და დაწყებულია აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ინსტიტუციას შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, მისი თქმით შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტში იყო 8 რეპოდენტი და საინტერესო იყო თუ ვინ იყვნენ ისინი.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ დეტალურად გაეცნო დასკვნას და წარმოდგენილ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრის თქმით, რადგან პროგრამის სახელწოდება იყო „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“, ბუნებრივი იყო, რომ რამდენიმე სასწავლო კურსი იყო წარმოდგენილი, სადაც ტექნოლოგიაზეც იყო ყურადღება გამახვილებული. ხოლო აღნუშნულ სასწავლო კურსებში სილაბუსში იყო თეორიული და პრაქტიკული ნაწილი. თუმცა, საბჭოს წევრის თქმით კონკრეტულ სილაბუსებში („ფეხსაცმლის დეტალების ტექნოლოგიური დამუშავება“, „ტექსტილის დამზადების ტექნოლოგია“, „ფეხსაცმლის დამზადების ტექნოლოგია“) ცოდნის შეფასების კომპონენეტბში მხოლოდ თეორიული ცოდნის შემოწმების შესაძლებლობა ჩანდა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რა მოსაზრება ჰქონდათ ამასთან დაკავშირებით ექსპერტებს. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, პრაქტიკული კომპონენტები თუ ხორციელდებოდა სპეციალურ ლაბორატორიებში და როგორი ფორმით ხდებოდა პრაქტიკული ნაწილის ათვისება. საბჭოს წევრის განმარტებით, წარმოდგენილი იყო მემორანდუმები, თუმცა არ იყო დაზუსტებული მომსახურების გაწევის დროს, რამდენ სტუდენტის მომსახურებას შეძლებდნენ.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ აღნიშნა, რომ იყო წარმოდგენილი „მხაზველობითი გეომეტრიის“ სასწავლო კურსი, ასევე „კომპიუტერული გრაფიკა“ და სხვა. საბჭოს წევრი დაინტერესდა სად ახდენდა პროგრამა, ხაზვის ძირითადი პრინციპების სწავლებას სტუდენტებისათვის, რადგან ხაზვის სასწავლო კურსი, საბჭოს წევრის თქმით ვერ ნახა წარმოდგენილ დოკუმეტებში.
ექსპერტთა თავმჯდომარემ, კითხვებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბჭოს წევრის მიერ ჩამოთვლილ სასწავლო კურსებში, თეორიული კომპონენტი ფასდებოდა შულაედური და დასკვნით გამოცდით, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი ფასდებოდა აქტივობის შეფასებით. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, ხორციელდება უნივერსიტეტის ლაბორატორიებში. ექსპერტთა ჯგუმა ნახა ლაბორატორიები, რომლებიც საკმაოდ კარგად აღჭურვილია, ისე, როგორც ძველი თაობის მანქანა მოწყობილობებით ასევე ახალი ტქნიკით. გარდა ამისა, არის პრაქტიკის კომპნენტი არის სასწავლო გეგმაში, შესაბამისად პრაქტიკულ კომპონენტს სტუდენტები იღებენ პრაქტიკის ბაზებზე. მემორანდუმებში სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ ამასთან დაკავშირებით დამსაქმებლებსაც ჰქონდათ პასუხები, რომ დამსაქმებლები გააკეთებდნენ ბაზას, მოამზადებდნენ გრაფიკს, რომლის მიხედვითაც 5-5 სტუდენტს მიიღებდნენ. თუმცა, ექსპერტის თქმით, ორმა დამსაქმებელმა განაცხადა, რომ ისინი აპირებდნენ გაფართოებას, რაც მისცემს მათ საშუალებას მთელი ჯგუფი მიიღონ ერთ ჯერზე. რაც შეეხება სტუდენტების უშუალო ჩართვას პრაქტიკის პროცესში, ექსპერტის თქმით, ამასთან დაკავშირებით უნდა ჰქონდოდა ინსტიტუციას მემორანდუმში გაწერილი, რაზეც მიუთითეს ექსპერტებმა.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ განაცხადა, რომ სილაბუსები რომელზეც იყო გამახვილებული ყურადღება, შედგებოდა ორი ნაწილისაგან: თეორიული და პრაქტიკული. აქედან გამომდინარე გაჩნდა კითხვა, პრაქტიკული უნარების ათვისებაზე იყო თუ არა ორიენტირებული და შესაბამისად ამ უნარების შემოწმებაც უნდა ხდებოდეს, თუმცა სილაბუსებში იმგვარი მეთოდები იყო გამოყენებული (მაგ: ტერმინოლოგიის ფლობა) სადაც აქცენტი არ კეთდება პრაქტიკული უნარების ფლობაზე. გარდა ამისა, საბჭოს წევრის თქმით ორ სასწავლო კურსში იყო იდენტური ლიტერატურა, როგორც ძირითადი ასევე დამატებითი. მისი, თქმით შესაძლებელია ამ მიმართულებით არ არსებობს ქართულენოვანი ლიტერატურა.
ექსპერტთა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ მიმართულებით კითხვები არ გაჩენია, რადგან, როგორც დარგის სპეციალისტი დეტალურად გაეცნო აღნიშნულ სასწავლო კურსებს, ხოლო ის სახელმძღვანელოები, რომლებიც მოცემულია დალაგებული მარტივიდან რთულისაკენ, შესაბმისად ორივე სასწავლო კურსის სახელმძღვანელოები საჭიროა ორივე კურსისთვის.

პირველ შემთხვევაში სწავლის შედეგების მისაღწევად, ხოლო მეორე იმისათვის, რომ სტუდენტმა სწავლის შედეგებზე გასვლა შეძლოს, რისთვისაც მას დასჭირდება საკითხების აღება მითითებული ლიტერატურიდან. პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ გამოცდები, რომელსაც ატარებს ინსტიტუცია, თეორიული მიმართულებით ბარდება წერითი ფორმით, ხოლო პრაქტიკული კომპონენტი ფასდება აქტივობის ქულით.

საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ წარმოდგენილი რჩევები შეიძლება დაიყოს რამოდენიმე სექტორად. რჩევების ნაწილი შეეხება, მთელი რიგ სასწავლო კურსებში წინაპირობების ცვლილებას. გარკვეული რჩევები შეეხება სწავლის ძირითად სფეროში საგნების გადაჯგუფებას. ასევე მთელი რიგი რჩევები შეეხება, სასწავლო კურსებში საკითხების დამატებას. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ერთიანი პროგრამის კონსტრუქციაში, როგირი იქნებოდა ექსპერტების შეფასება. აღნიშნული რჩევები თუ არ განახორციელა ინსტიტუციამ, ამით პროგრამას არაფერი არ დააკლდებაა?

ექსპერტთა თავმჯდომარემ, განმარტა, რომ ყველა რჩევა ნამდვილად იყო რჩევითი ხასიათის, რადგან, იმდენად სრულყოფილად ჰქონდა ისნტიტუციას სასწავლო კურსები აგებული მათი შნაარსობრივი ნაწილით, რომ თუკი აღნიშნულ რჩევებს გაითვალისწინებენ, შესაძლებელია პროგრამა ერთი საფეხურით უფრო ამაღლდეს. ექსპერტის შეფასებით, წარმოდგენილი პროგრამა არ იყო რისკის ქვეშ. ლიტერატურასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს საუნივერსიტეტო ბაზაში, ჰქონდა ის ლიტერატურა, რომელიც რჩევად მისცა ექსპერტთა ჯგუფმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლია ლურსმანაშვილმა, შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ შრომის ბაზრის კვლევა, აბსოლიტური სკურპულოზულობით შეისწავლა ინსტიტუციამ. თუკი არსებობდა რაიმე დოკუმენტაცია, ყველა დოკუმენტი შეისწავლა ინსტუციამ. ინსტიტუციის წარმომადგენლებს ურთიერთობა ჰქონდათ, წამყვან საწარმოებს. ინსტიტუციამ შეარჩია, ყველაზე მეტად ადაპტირებული საწარმოები (დიზაინერული სალონები, ატელიიები, ინდ.მეწარმეები), თუმცა აქცენტი გაკეთდა მასიურ საწარმოებზეე. სილაბუსების შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაზე, თითოეული აკადემიური პერსონალი იყო თავისი დარგის პროფესიონალი. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი იყო, ის, რომ აკადემიური თავისუფლება სილაბუსის შექმნის პროცესში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, შეფასების სისტემაში, ეს იყო სწავლის პროცესი, რადგან, როდესაც სასწავლო კურსები შემოდის სტუდენტები იწყებენ სწავლას, ამიტომ ისინი პრაქტიკულ შედეგზე ორიენტირებულები მაშინვე ვერ იქნებიან. თუმცა პრაქტიკულ კომპონენტში, არის პრაქტიკული სამუშაოების შესრულება. აქტივობის გარეშე, სტუდნეტი სწავლის შედეგზე ვერ გადის. ხაზვის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებულ შეკითხვას, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა და აღნიშნა, რომ დიაზაინი, ეს იყო სივრცული აზროვნების სფერო, სხვაგვარად შეუძლებელი იყო, რადგან ვერც ტექნიკური მიმართულებით განვითარდებოდა სპეციალისტი და ვერც მხატვრული უნარების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, სივრცული უნარების განვითარებისათვის სხვაგვარად ვერ მოახერხებს დიზაინერის მიერ შექმნილი ესკისზის წაკითხვას, რისთვისაც აუცილებელია მხაზველობითი გეომეტრია. დაწესებულების წარმომდგანლის თქმით ტექნიკური ნახაზი დღევანდელ პირობებში, თანამედროვე ტექნიკაზე არის აგებული და პროგრამა ამზადებს ბაკალავრს იმისთვის, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძვლების ფლობის უნარი ჰქონდეს მას. მემორანდუმებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ჩაშლილი იყო შინაარსში იმასთან დაკავშირებით, რომ პრაქტიკის ობიექტზე შესაძლებელი იყო 20 სტუდენტის ერთდროულად მიღება. ინსტიტუციამ შეარჩია ისეთი საწარმოები, რომლებიც პასუხობდნენ თანამედროვე გამოწვევებს.

საბჭოს თავმჯდომარის თქმით, ერთ-ერთ რჩევაში იყო, ჩანაწერი, რომ „მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო გეგმის „ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები“–დან კურსები,

„წრფივი ალგებრისა და კალკულურის ელემენტები, „უცხოური ენა“, „არჩევითი ჰუმანიტარული საგნები“, „თავისუფალი კომპონენტი“ – გატანილი იქნას სწავლის ძირითადი სფეროს საგანთა ჯგუფიდან;“ საბჭოს თავმჯდომარემ, სთხოვა ექსპერტებს უფრო მეტად დაეზუსტებითან აღნიშნული რჩევა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამარ გვიანიშვილმა, განმარტა, რომ ეს შესაძლებელია ყოფილიყო ინსტიტუციის ზოგადი მიდგომა, რომ ინგლისური ენის კომპონენტი ჩათვლილი იყოს სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტში, რაც გარკვეულ გაუგებრობას იწვევდა, რადგან, სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტში, შეიძლება ყოფილიყო პირობითად დარგობრივი ინგლისური ენა, რაც აძლიერებს სწავლის ძირითად სფეროში მიღებულ კომპეტენციებს. ექსპერტის თქმით, ეს იყო რჩევა არ ეხებოდა მხოოდ აღნიშნულ პროგრამას. აქედან გამომდინარე, თუ არ შეიცვლებდა პრიორიტეტები ან მიდგომები საუნივერსიტეტო დონეზე, პროგრამა ამას დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა.

დაწესებულენის წარმომადგენელმა, ნინო ხაბეიშვილმა განმარტა, რომ მე-8 დანართში იყო პრაქტიკის ხელშეკრულება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ თავისუფალ კომპონენტთან დაკავშირები განმარტა, რომ ექსპერტის მიერ ნახსენები მიდგომა იყო საუნივერსიტეტო. მისი თქმით, ინსტიტუციას არ აქვს შესაძლებლობა სხვაგვარად მოიქცეს თუ რადიკალურად არ შეიცვლება კანონმდებლობა. რადგან არსებული რეგულირების პირობებში, არცერთ პროგრამას არ აქვს სხვა შანსი. ინგლისური ენის არ გავლის პირობებში, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პროგრამის სწავლის მნიშვნელოვანი შედეგები ვერ მიიღწევა, ამიტომ ინსტიტუცია ამ რისკზე ვერ მიდის ვერცერთი პროგრამის ფარგლებში.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა იმ საკითხს, რომ მსგავსი ტიპის პროგრამაზე შემოქმედებითი უნარების შემოწმება უნდა განხორციელდეს, აქედან გამომდინარე არი დაშვების წინაპირობა პროგრამაზე. თუმცა საბჭოს წევრი დაინტერესდა რას გუსლისხმობდა გასაუბრება ხატვაში და რა ფორმით ტარდებობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, 2.6 ქვესტანდარტში სტუდენტების შეფასების კომპონენტში, არებულ ჩანაწერზე, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში უნდა მოხდეს შეფასების კრიტერიუმების ფორმულირება. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენად იყო აღნიშნული საკითხი რჩევა წარმოდგენილი ფორმით და შინაარსით.

ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა განმარტა, რომ საბჭოს თავმჯდომარის მიერ ნახსენები რჩევა გამომდინარეობდა იქიდან, რომ როდესაც პრაქტიკული ხასიათის სასწავლო კურსია, ექსპერტის მოსაზრებით თეორიულ დავალებებს და პრაქტიკულ დავალებებს შორის უპირატესობა უნდა მიენიჭოს პრაქტიკულ დავალებებს შეფასების სისტემაში, რადგან ეს უნარები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. კონკრეტული სასწავლო კურსების შემთხვევაში, ექსპერტის თქმით დარწმუნებით არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ არა საკმარისი იყო პრაქტიკული დავალებები, ამიტომ გაიწერა აღნიშნული საკითხი რჩევის სახით. სასურველია, გაიზარდოს პრაქტიკული დავალებების წილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ხაბეიშვილმა, განმარტა, რომ დანართ 12-ში იყო მე-2 საქაღალდე განხორციელებული შეფასების შედეგების შესახებ, სადაც მისი თქმით იყო ვიდეო-რგოლი, რომელიც აბიტურიენტებისათვის იყო ხელმისაწვდომი, იდება ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში, სადაც დეტალურადაა აღწერილი თუ როგორ ხდება გასუაბრება ხატვაში, რომელიც ტარდება ეროვნულ გამოცდებამდე. გასაუბრების მიზანია, გაიგოს თუ რამდენად აქვს აპლიკანტს სივრცეში აზროვნების უნარები.

საბჭოს წევრი თამარ ჩხეიძე დიანტერესდა, რატომ იყო ეს გასაუბრება და არა შემოქმედებითი ტური.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ხაბეიშვილმა განმარტა, რომ რეალურად ტური უფრო მეტად გამოცდის სახეს ატარებდა, ხოლო აღნიშნულ შემთხვევაში უფრო მეტად იყო გასაუბრება, რადგან აპლიკანტი აჩვენებს თავის ალბომს, მოაქვს ნამუშევრები და ხდება მისი

გადახედვა, კომისიასთან გასუაბრება. დაწესებულების წარმომდგენლის თქმით, ასევე საინტერესოა, აპლიკანტის ფსიქოტიპი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლია ლურსმანაშვილმა განმარტა, რომ მათ ჰქონდათ მწარე გამოდილება იმისა, რომ პირველად, როდესაც „სამოსის დიზაინის“ საგანმანათლებლო პროგრამა დამუშავდა, იქ არ იყო ჩადებული გასაუბრების საკითხი, რადგან დაწესებულების წარმომადგენლებამ ჩათვალეს, რომ პროგრამა იყო ახალი და არ ყოფილიყო წინაპირობა დაბრკოლება. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, იყო სავალალო შედეგები, რადგან შემოვიდა ისეთი კონტიგენტი, რომელსაც შეხება არ ჰქონდა სახელოვნებო მიმართულებით.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
რეკომენდაციები:

1. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა მიეთითოს შეფასების ინდიკატორები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც გათვალისწინებულია დოკუმენტში „არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“.
2. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები და რიგი სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს კურსის განხორციელებისათვის აუცილებელი ლიტერატურა. მაგ: „გამოყენებითი ანთროპოლოგია და ბიომექანიკის საფუძვლები“ ძირითად ლიტერატურაში გასათვალისწინებელია ტანაგებულების ანთროპომეტრიასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო;
3. სილაბუსში „ტყავის ნაწარმის კონსტრუირების საფუძვლები - ანთროპომეტრია“ – უნდა დაემატოს ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირების საფუძვლების შესაბამისი ლიტერატურა.
4. რეკომენდებულია, დაზუსტდეს რიგ სასწავლო კურსებში შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები კურსის შინაარსთან მიმართებით.
5. უცხოეთის უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები უნდა იყოს ფორმალიზებული ანალიზის დოკუმენტში, რომლის მეშვეობით დადგინდება უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან დადარების შედეგები, მათ შორის - თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით რა ასპექტები და მიდგომები იყო გათვალისწინებული პროგრამაში და/ან მის ცალკეულ კომპონენტებში.

რჩევები:

1. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი.
2. მიზანშეწონილია გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმში გამოყენებული ტერმინების სისწორე, მაგ., ტერმინი „ძირითადი სპეციალობა“ შეიცალოს ტერმინით „სწავლის ძირითადი სფერო“;
3. სასწავლო კურსის „კოსტუმის ისტორია“ წინაპირობად სასწავლო კურსი „შესავალი ხელოვნების ისტორიაში“ შესაძლებელია იქნას ამოღებული;
4. სასწავლო კურსის „ქართული ეროვნული სამოსის და ორნამენტის ისტორია“ წინაპირობად სასწავლო კურსი „კოსტუმის ისტორია“ შესაძლებელია იქნას ამოღებული;
5. მიზანშეწონილია პროგრამის სასწავლო გეგმის „ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები“–დან კურსები, „წრფივი ალგებრისა და კალკულურის ელემენტები, „უცხოური ენა“, „არჩევითი ჰუმანიტარული საგნები“, „თავისუფალი კომპონენტი“ – გატანილი იქნას სწავლის ძირითადი სფეროს საგანთა ჯგუფიდან;

6. სასურველია არჩევითი საგნების ოთხი ჯგუფის ნაცვლად, არჩევანის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, პროგრამაში არჩევითი საგნები შეტანილი იქნას ერთ ჯგუფად და სტუდენტებს სურვილის შესაბამისად მიეცეთ 20 კრედიტის არჩევის საშუალება.
7. სასურველია, სასწავლო კურსს „წრფივი ალგებრისა და კალკულუსის ელემენტები“ დაემატოს ალბათობის თეორისაა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხები;
8. სასწავლო კურსის „ტექნიკური ნახაზი მოდის დიზაინში“ შინაარსს დაემატოს ფეხსაცმლის დეტალების ტექნიკური ნახაზების აგების საკითხები;
9. სასწავლო კურსის „ხარისხის მართვა“ შინაარსს დაემატოს ფეხსაცმლის ხარისხის შეფასების საკითხები;
10. მასალათმცოდნეობის, კონსტრუირების და ტექნოლოგიის მიმართულების სასწავლო კურსებში გათვალისწინებული იქნას სპეციკიპირებასთან დაკავშირებული საკითხები.
11. სასურველია უნივერსიტეტმა და პროგრამის განმახორციელებლმა ჯგუფმა აქტიურად იმუშაოს სტუდენტთა ინფორმირებულობის კუთხით, რათა დროულად და სრულყოფილად მიეწოდოთ ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების შესახებ;
12. სასურველია ქვეყნის მასშტაბით სხვა უნივერსიტეტების მონათესავე დარგის პროგრამების სტუდენტებთან ერთობლივ ღონისძიებებში, კონკურსებში და გამოფენებში მონაწილეობა, გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობითი საქმიანობის სფეროს გაფართოების მიზნით;
13. სასურველია პარტნიორ საწარმოთა რაოდენობის გაზრდა, სტუდენტთათვის საწარმოო პრაქტიკის არეალის გაფართოებისათვის;
14. სასურველია, რომ სტუდენტები გარკვეული იყვნენ სწავლება–სწავლის მეთოდების არსში და კონკრეტული სასწავლო კურსისათვის გამოყენებული მეთოდების შესახებ ინფორმაცია მიიღონ კურსის საწყის ეტაპზე;
15. სასურველია, სტუდენტთა კარიერული განვითარების მიმართულებით ღონისძიებათა უზრუნველყოფა და სტუდენტური პროექტების დაფინანსების პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის მექანიზმის გაუმჯობესება.
16. სასურველია პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა იზრუნოს ახალგაზრდა კადრების აღზრდასა და პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე – პროგრამის შემდგომი სიცოცხლისუნარიანობის აუცილებლობიდან გამომდინარე;
17. სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთაშორისო აქტივობების და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის რაოდენობრივი მაჩვენებელების ამაღლება;
18. პროგრამის წარმატებული განვითარებისათვის სასურველია პერსონალის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის გააქტიურება, გაცვლითი და ერთობლივი პროგრამების განხორციელება, ურთიერთთანამშრომლობის უფრო მეტად გაღრმავება განვითარება მიმართულების, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.
19. მიზანშეწონილია პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უსდ-ების დარგის სპეციალისტების მიერ;

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:05
დასრულების დრო: 17:37

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა **სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის** 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნიევრსიტეტის „ფსიქოლოგიის“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები) Psychology (Major and Minor)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	30.09.2011 #85
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სოციალური მეცნიერებები: პოლიტიკის მეცნიერება, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ევროპისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Psychology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	N/A
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 ფსიქოლოგია Psychology
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240

14	განხორციელების ადგილი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, 0179, თბილისი, საქართველო (უნივერსიტეტის A,B,C და D კორპუსები)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

მეოთხე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნიევრსიტეტის „ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგ ანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) Psychology (Social Psychology, Educational Psychology, Clinical Psychology)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.08.2012 N296
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფსიქოლოგია (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი Master of social psychology განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრი Master of educational psychology კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი Master of clinical psychology
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 ფსიქოლოგია Psychology
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, 0179, თბილისი, საქართველო (უნივერსიტეტის A,B,C და D კორპუსები)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ელენე ჟურავლოვამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულებს არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

17:39 საათზე საბჭო დატოვა ანა, ფირცხალაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნათია ბადრიაშილმა ბრძანა, რომ პროგრამა დიდი ხანია არსებობს. მისი თქმით დასაფასებელია პროგრამაზე არსებული პროფესიონალი პერსონალი, ასევე ტექნიკური ბაზა და ბიბლიოთეკა. პროგრამა ზრუნავს კომპეტენტური კადრების მომზადებაზე, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან, როგორც ადგილობირვ, ასევე საერთაშორისო ბაზრზე. ექსპერტის თქმით, ასევე კარგად არის გამართული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სტუდენტთა შეფასების მინი-მა-ლური კომპეტენციის რაოდენობ-რი-ვი მაჩვენებლები შესაბამისობაში მოვიდეს მინიმალური კომპე-ტე-ნ-ციის ზღვარის არსთან.
2. გამოირიცხოს შეფასებისას 0-ზე მეტი ქულის მინიჭება იმ შემთხვევებში, როდესაც სტუდენტი შესაფასებელ ცოდნას და/ან უნარებს მინიმალურ მოთხოვნილ დონეზე ვერ ადასტურებს.

1. გამოირიცხოს შეფასების მხოლოდ მაქსიმალური ქულების განსაზღვრა, რადგან აღნიშნული მიდგომა ვერ უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას.
2. უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები ისეთი ფორმით იყოს ჩამოყალიბებული, რომელიც იძლევა საუკეთესო გამოცდილების გამოყენების ანალიზის შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ნებისმიერი გადაწყვეტილება გასნახილველი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის შესახებ ძალაში შევიდეს გადაწყვეტილების მირების დღესვე.
საბჭოს თავმჯდომარემ ბრძანა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭო იმსჯელებდა სათათბირო შესვენების დროს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ მინიმალური კომპეტენციების ზღვრები განსაზღვრული ჰქონდათ არა იმის მიხედვით, თუ რას უნდა უდრიდეს მათი ჯამი ან რა მაჩვენებელზე გადიოდეს. ამას არ ითხოვდა მესამე ბრძანება, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობდნენ აკრედიტების მინიჭების პროცესში. მისი განმარტებით, დაწესებულების მინიმალური ზღვრები გათვლილია იმაზე, რომ თუ კი სტუდენტი დააგროვებდა მინიმალურ ქულებს შუალედური შეფასების განმავლობაში, კურსის ფარგლებში, მას მინიმალურზე მეტი ქულა უნდა აეღო დასკვნით გამოცდაზე. ან თუ სტუდენტს მინიმალურზე ბევრად მეტი ქულები ჰქონდა შუალედურ გამოცდებში, მას შეეძლო დაეგროვებინა ის მინიმალური ზღვარი, რაც განსაზღვრული იყო დასკვნით გამოცდასთან მიმართებაში. დაწესებულების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ისინი მიჰქყვებოდნენ აღნიშნულ ლოგიკას, როდესაც განსაზღვრეს მინიმალური ზღვრები მათ კურსებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა და აღნიშნა, რომ მინიმალური ზღვრების დაწესება შეიძლებოდა სხვადასხვა პრინციპზე ყოფილიყო დამყარებული. კრედიტების დაანგარიშების წესი, მესამე ბრძანება, რითიც ხელმძღვანელობდნენ, არ ითვალისწინებდა რაიმე შეზღუდვას მათ ჯამთან მიმართებაში, ან რას უნდა უდრიდეს მინიმალური ზღვრების ჯამი. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა საკითხზე, როდემელშიც საუბარი იყო ნოლ ქულაზე შეფასებებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ რუბრიკებრიკა შესაძლოა ითვალისწინებდეს

ნოლიდან სამ ქულამდე შეფასებას, მაგრამ თავად რუბრიკა იძლეოდა ვარირების შესაძლებლობას, თუ კი სტუდენტს საერთოდ არ ექნებოდა ან სათანადო მოთხოვნების დაცვით შესრულებული დავალება, მას მიენიჭებოდა ნოლი ქულა და თუ კი შესრულებული ექნებოდა მნიშვნელოვანი ხარვეზებით, მიენიჭებოდა ერთი ან ორი ქულა. არ გაკეთებულ ან არასათანადოდ გაკეთებულ ნაშრომში ისინი არ ანიჭებდნენ დადებით ქულას. მესამე საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი შეფასების რუბრიკები ძირითადად ყველგან იყო დაშლილი და არ ითვალისწინებდა მხოლოდ მაქსიმალური ქულის შეფასებას. საუბარი იყო რამდენიმე კურსთან დაკავშირებით, თუმცა ამ კურსების დანართებშ მოცემული იყო კონკრეტულად მატრიცები, თუ როგორ ნაწილდება ქულები კრიტერიუმების მიხედვით. თუ კი დაწესებულების წარმომადგენლები საზღვრავდნენ მაქსიმალურ ქულას, იქვე იყო მოცემული ის კომპლექსური რუბრიკა, რასაც ისინი ჰოლისტურ რუბრიკას ეძახდნენ, სადაც განისაზღვრებოდა, რა მაჩვენებლების შედეგად ხდებოდა ქულის მინიჭება. მაქსიმალური ქულის მინიჭება არ ხდებოდა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით. დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა მე-5 სტანდარტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები და პროგრამის ჯგუფი პროგრამაზე მუშაობისას სარგებლობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ანალოგებით და გამოცდილებით. ესენი იყო სამუშაო დოკუმენტები და ატვირთლი ჰქონდათ „დრაივში“, აკეთებდნენ ანალიზს სწავლის შედეგებთან, მიზნებთან, შინაარსთან დაკავშირებით და ხდებოდა კონკრეტული ანალოგების, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტანდარტი არ ავალდებულებდა რაიმე ფორმალიზებული სხვა დოკუმენტის არსებობას, ეს იყო სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერი, რაც სახელმძღვანელოში იყო მოცემული. მათ არ ქონდა ფორმალიზებული რაიმე დოკუმენტი, რომელიც ჩაიდებოდა დანართის სახით თვითშეფასებაში, თუმცა ისინი ითვალისწინებდნენ და ასრულებდნენ სტანდარტის მოთხოვნას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ძალიან მაღალი იყო პროგრამის გუნდის ინფორმირება იმ მექანიზმებისა და განხორციელებული სამუშაოების შესახებ, რომელიც ეხებოდა უცხოეთის პროგრამებთან დადარებას. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფისათვის ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი, თავისთავად, ეს რეკომენდაცია არ დაიწერებოდა. რადგან ინფორმირიების ხარისხი იყო ძალიან მაღალი, უბრალოდ, აღნიშნული დოკუმენტის ფორმალიზებული სახით არარსებობის გამო ექსპერტებს არ მიეცათ საშუალება, რომ დაედარებინათ რა და როგორ განხორციელდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ შეკითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, სადაც მან აღნიშნა, რომ პროგრამის ძირითადი სწავლის სფერო - ფსიქოლოგია წარმოდგენილი იყო სავალდებულო და არჩევითი საგნებით. ძირითადი იყო 66 კრედიტი, ხოლო არჩევითი - 54. რაც თითქმის თანაბარი იყო და არსებობდა სხვაობა 12 კრედიტში. არჩევით საგნებში მოხვედრილი იყო ისეთი მნიშვნელოვანი საგნები, როგორებიც იყო საბაკალავრო ნაშრომი, პროექტი, სხვადასხვა ტიპის პრაქტიკები, საბაკალავრო სემინარის საგანი. პროგრამის ცოდნის შედეგებში აღნიშნული იყო, რომ სტუდენტს ექნებოდა ემპირიული კვლევის უნარები და ასევე მიზანში იყო საბაზისო კვლევის უნარები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს წევრმა შეკითხვით მიმართა ორივე მხარეს, თუ რომელი საგნებით გადიოდა პროგრამა ამ შედეგებზე და რამდენად საკმარისი იყო 66 კრედიტი, სულ 11 საგანი, რომელიც სავალდებულო საგნებში აღმოჩნდა. საბჭოს წევრის განმარტებით, ის არ გულისხმობდა მარტო აკადემიური მუშაობის პრინციპებს, რომელიც დაწესებულებას ჰქონდა საბაზისო მოდულში და ბუნებრივია ეს ანვითარებდა კვლევით უნარებს საბაზისო დონეზე. მან შეკითხვით მიმართა ორივე მხარეს, თუ რა გადაწყვეტილება მიიღეს, რა მიდგომა იყო ასეთი თანაფარდობის არჩევის და ყველა ეს საგანი აღწევდა თუ არა ამ შედეგებს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის დოკუმენტებში ვერ ნახა შრომის ბაზრის კვლევა, თუმცა იყო პროგრამის კმაყოფილების კვლევა და სტუდნეტთა კვლევა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, ეს ორი დოკუმენტი ცვლიდა თუ არა შრომის ბაზრის კველვას.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნათია ბადრიშვილმა განმარტა, რომ ექსპერტების ინფორმაციით კვლევის კომპონენტი იყო ჩაშლილი ბევრ კურსში.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ცისანა ხუნდაძემ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არჩევითად იყო წარმოდგენილი საბაკლავრო სემინარი და ნაშრომი, სავაალდებულო საგნებში დაახლოებით 5 საგანი იყო, რომელშიც აქტივობების მიხედვით მოითხოვს კვლევის სხვადასხვა ეტაპების გავლას. ეს კურსები იყო მაგალითად: „განწყობის ფსიქოლოგია“ „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის“ „კვლევის მეთოდები“. ექსპერტის თქმით, სტუდენტმა, რომც არ აირჩიოს არჩევითი კურსები საბაკლავრო სემინარის და ნაშრომის სახით, მაინც უწევთ სასწავლო კურსებში პრაქტიკული ნაწილის გავლა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მეთოდურ აღჭურვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ კვეთაში იყო საზღვარგარეთის უნივერსიტეტების გამოცდილებასთან, რადგან ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის კურსი ახლოს არის აშშ-ში, კალიფორნიის უნივერსიტეტის მსგავს პროგრამასთან. აღნიშნული კურსის ფარგლებში, სტუდენტები ატარებენ კონკრეტულ ექსპერიმენტულ კვლევას. ექსპერიმენტული კვლევა, დაწესებულების წარმომდგენლის თქმით იყო მთავარი მეთოდი ფსიქოლოგებისათვის, შესაბამისად აღნიშნული კურსის შემდგომ ყველა სტუდნეტს შეუძლია ექსპერიმენტული კვლევის ჩატარება. გარდა ამისა, სხვადასხვა კურსებში სტუდენტებს აქვთ კვლევის განხორციელების დავალება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მე-2 საქაღალდეში ჩადებული იყო ფოკუს ჯგუფი დამსაქმებლებთან, საქაღალდეს ჰქვია ფსიქოლოგიის საბაკალვრო პროგრამის შრომის ბაზრის ანგარიში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ გამოიყენეს ფოკუს ჯგუფის მიდგომა და მათ ჰყავდათ რამოდენიმე დამსაქმებელი.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში პრაქტიკა იყოს სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი (მაგალითად, ზრდასრულთა კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულების არჩევის შემთხვევაში სტუდენტებმა არ გაიარონ პრაქტიკა ბავშვთა და მოზარდთა მიმართულებით).
2. სტუდენტთა შეფასების მინიმალური კომპეტენციის რაოდენობრივი მაჩვენებლები შესაბამისობაში მოვიდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსთან.
3. გამოირიცხოს შეფასებისას 0-ზე მეტი ქულის მინიჭება იმ შემთხვევებში, როდესაც სტუდენტი შესაფასებელ ცოდნას და/ან უნარებს მინიმალურ მოთხოვნილ დონეზე ვერ ადასტურებს.
4. გამოირიცხოს შეფასების მხოლოდ მაქსიმალური ქულების განსაზღვრა, რადგან აღნიშნული მიდგომა ვერ უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას.
5. დაკორექტირდეს დოკუმენტში „სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია“ არსებული შეუსაბამო ჩანაწერები უარყოფითი შეფასებების განმარტების (FX ვერ ჩააბარა – „სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება“ და F - ჩაიჭრა – „სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი“) ნაწილში.

6. უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები უნდა იყოს ისეთი ფორმით ჩამოყალიბებული, რომელიც იძლევა საუკეთესო გამოცდილების გამოყენების ანალიზის შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ განმარტა, რომ დაწესებულების პოზიცია რეკომენდაციებთან და რჩევებთან დაკავშირებით იყო იგივე, როგორც საბაკლავრო პროგრამის შემთხვევაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფთან გასაუბრებაში მონაწილეობა მიიღეს პირველი წლის სტუდენტებმა, ვისთანაც ინსტიტუციამ პირველად განახორციელა კლინიკური პრაქტიკა და მათი უკუკავშირიდან გამომდინარე შევიდა ცვლილება. კურსი სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მათი ინტერესებიდან გამომდინარე გარდა ძრითადი საგნებისა, არჩევითი საგნების კომბინაციით აირჩიონ ბავშთა ან ზრდასრულთა მიმართულება. როდესაც სტუდენტი ამის შემდგომ მიდის კლინიკური პრაქტიკის კურსზე, მას ეძლევა შესაძლებლობა ზუსტად განსაზღვროს და პრაქტიკა მიიღოს იმ ორგანიზაციაში ან იმ სპეციალისტთან, რომელი მიმართულებითაც სურს პრაქტიკული მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშანა, რომ საუბარი იყო პროგრამაზე, სადაც იყო სამი კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობა. თუმცა, საბჭოს წევრი დაინტერესდა, რატომ არ იყო გაწერილი სწავლის შედგები ცალკე, იყო თუ არა ამასთან დაკავშირებით საუბარი ექსპერტებსა და ინსტიტუციას შორის.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შეფასების დოკუმენტთან დაკავშირებით (დამსაქმებელთა ანალიზი). მისი თქმით აღნიშნულ დოკუმენტში იყო 8 დამსაქმებელი. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რამდენად რელევანტური იყო აღნიშნული 8 დამსაქმებლის გამოკითხვა, მოიცავდა თუ არა ის მთლიანად შრომის ბაზარს.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით სამაგისტრო ნაშრომები არ იყო გაფორმებული ერთიანი პრინციპით. ერთ-ერთ სამაგისტრო ნაშრომში იყო ასეთი წყარო და მითითებულია, რომ „აღნიშნულ კვლევაში გამოყენებული ტექსტის ნაწილი შექმნილია და ატვირთულია აკადემიური წერის და კვლევის მეთოდების, დავალების ფარგლებში“. საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა რამდენად შეიძლება ჩაითვალოს აკადემიურ წყაროდ იგი?

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ შეაფასებდნენ ექსპერტები სამაგისტრო ნაშრომებს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამარ გვიანიშვილმა უპასუხა შეკითხვებს და განმარტა, რომ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ექსპერერტებმა იხელმძღვანელეს 69N-ით, სადაც იყო მითითებული, რომ კონცენტრაციას აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საბაკლავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. აღნიშნულ შემთხვრვაში, სამივე კვალიფიკაციით მისაღწევი შედგები ფომალიზებული იყო პროგრამის სწავლის შედგებში. კვალიფიკაციის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ არანაკლებ 50% იყო ნამდვილად მიმართული იმ სფეროზე, რაშიც ენიჭება კვალიფიკაცია და ამავე მიმართულებით ასრულებენ სამაგისტრრო ნაშრომს. ექსპერტის თქმით, მათი, როგორც ექსპერტების მოსაზრებით პროგრამა ასრულებს 69 N-ის პირობებს, რადგან კონცენტრაციას აქვს შედეგი, რომელიც საერთო შედეგებში არის გათვალისიწინებული. კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის პროგრამის მთლიან შედეგს.

სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ცისანა ხუნდაძემ განაცხადა, რომ ექსპერტები გაეცნენ სხვადასხვა შეფასების სამაგისტრო ნაშრომებს. ექსპერტის

თქმით, სამაგისტრო ნაშრომებს შორის იყო მრავალფეროვნება და გარკვეული განსხვავებები, თუნდაც გაფორმების თვალსაზისით. ექპერტის თქმით, მათ მიიჩნიეს, რომ გაწერილი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები მეტნაკლებად შეესაბამებოდა იმ მინიმალურ სტანდარტებს რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სამაგისტრო ნაშრომი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დოკუმენტში აღწერილი იყო 8 წარმომადგენლის კვლევა. ეს ორგანიზაციები იყვნენ, ის ორგანიზაციები, რომელთანაც თანამშრომლობს პროგრამა და ახორციელებს პრაქტიკის კომპონენტს. გარადა ამისა, უნივერსიტეტს აქვს თავისი ცენტრები მაგალითად ბავშვთა განვითარების ცენტრი, რომლის ბაზაზეც ხორციელდება აღნიშნული პროგრამა. ამიტომ ინსტიტუციამ გადაწყვიტა, იმისათვის რომ განსაზრვრულიყო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და დამსაქმებელთა კვლევა, რომელსაც გამოიყენებდა ინსტიტუცია პროგრამის განახლების რეჟიმში, აღნიშნული კვლევა იყო საკმარისი. პროგრამის წარმომადგენელმა, განმარტა, რომ მათთვის მნიშნელოვანი იყო განესაზრვრათ სწავლის შედეგები, ანუ კომპეტენციები, რომელთა გავითარებასაც ახდენს პროგრამა, თუ რამდენად რელევანტური და შესაბამისი იყო დამსაქმებელთა მოთხოვნებთან და საჭროებებთან. გარდა ამისა, პრაქტიკის კურსი, რომელიც ჩადებულია სამაგისტრო პროგრამაში, ასევე იძლევა საშუალებას, რომ მუდმივ კომუნიკაციაში იყვნენ პროგრამის წარმომადგენლები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რადგან ერთ-ერთი შეფასების კომპონენტი არის პრაქტიკის კომპანიიდან წამოსული უკუკავშრი, თუ რამდენად ფლობს სტუდენტი იმ უნარჩვეევებს,რაც კონკრეტულ ორგანიზაციაში დასაქმებისთვის იქნება რელევანტური.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით განმარტა, რომ იყო მოთხოვნილი სხვადასხვა ქულით შეფასებული ნაშრომები. მისი თქმით, ვალირებული არის ნაშრომებში ის მოთხოვნები, რის მიხედვითაც უნდა შეფასდეს ნაშრომები, ასევე რუბრიკებში გათვალისინებულია გაფორმების და შესრულების ტექნიკური მხარე.
პროგრამის წარმომადგენელმა, განმარტა, რომ ვინაიდან სამაგისტრო ნაშრომის მომზადება ხანგრძლივი პროცესია სტუდენტისათვის, ისინი როგორც წესი სამაგისტრო სემინარის და აკადემიური წერის კურსების ფარგლებშ, უნარჩვეევების განვითარებისათვის ისინი მუშაობენ მათთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებით, რაც განაპირობებს იმას, რომ სპეციალურ სისიტემაში ტვირთავენ პლაგიატზე შესამოწმებლად და ხშირ შემთხვევაში არის ასეთი ჩანაწერები. რადგან, შეიძლება ხშირ შემთვევაში მოხდეს აბზაცების გადაფარვა, სტუდენტის მიერ წარდგენილ ტექსტთან. წყაროს მითითებასთან დაკავშრებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შეფასებაშიც აისახება აღნიშნული ხარვეზები.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშილმა დააზუსტა შეკითხვა და აღნიშნა, რომ გასაგები იყო ნებისმიერ უნივერსიტეტში, ნებისმიერ სწავლის დონეზე არსებობენ სტუდენტები, რომლებიც საუკეთესოდ ასრულებენ ნაშრომს და ასევე, ისეთებიც, რომლებიც ნაკლებად, რაც შეფასებაში აისახება. სამაგისტრო ნაშრომები, ასევე დამატებით უნდა გადიოდეს გარკვეული ტიპის ტექნიკურ რევიზიაზე. საბჭოს წევრი დაინტერესდა, გარდა პლაგიატისა, თუ გადიოდა ნაშრომი, სხვა ტიპის ტექნიკურ ექსპერტიზაზე.
საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშლმა, აღნიშნა, რომ ძალიან საინტერესო იყო პირველივე სწავლსი შედეგი- „აქვს ფართო ცოდნა ფსიქოლოგიის დარგში არსებული თანამედროვე აქტუალური საკითხების გამოწვევების შესახებ სიღრმისეული და სისტემური ცოდნა მისი ერთე-ერთი მიმართულებით - სოციალური განათლება და ფსიქოლოგია“ საბჭოს წევრი დაინტერესდა, რა უნდა გაკეთოს სტუდენტმა და როგორ უნდა მოახდინოს ცოდნის დემონსტრირრება, რომ სარწმუნო იყოს მისი ცოდნა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ სწავლის შედგეთან დაკავშირებულ შეკითხვას უპასუხა და აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ მიიჩნია ეს სწავლის შედეგი უნდა უკავშირდებოდეს სამაგისტრო ნაშრომს, რადგან სამაგისტრო ნაშრომში კვლევა უნდა შესრულებული გარკვეული თეორიული ჩარჩოს ფარგლებში, მასში უნდა იყოს გამოყენებული ის წყაროები და ცოდნა, რომელიც სჭირდება სტუდენტს იმისათვის, რომ განსაზღვროს

ექსპერიმენტის ან სხვა სახის კვევის ჩატარების საჭიროება, ხოლო იმისათვის რომ ეს საჭიროება განსაზღვროს, მან საკმარისად უნდა აჩვენოს სისტემური და სიღრმისეული ცოდნა. აღნიშნული მიდგომა ასევე გამოყენებულია საერთაშორისო პრაქტიკაში, თუკი სტუდენტს აქვს გაკეთებული სათანადო დონეზე ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილი, სადაც განსაზღვრულია საკვლევი პრობლემა, მისი აქტუალურობა, შემდეგი საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე თეორიული ჩარჩოს ადეკვატური განსაზღვრა და ასვეე თუ სად არის საჭიროება კველევის ჩატარება. სტუდენტმა უნდა განსაზღვროს კვლევის მიზანი. ეს სწავლის შედეგი მიბმულია სამაგისტრო ნაშრომთან და სამიზნე ნიშნულებში აღებულია სამაგისტრო ნაშრომი.
პროგრამის წარმომდგენელმა, განმარტა, რომ შედეგების რუკაში არის ყველა სავალდებულო შინაარსისობრივი საგანი ამ მიმართულებით, სადაც სტუდენტი იღებს ცოდნას და გადის აღნიშნულ სწავლის შედეგზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ გაფორმების წესთან და თვით პლაგიატთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პლაგიატის სისტემები აძლევს სტუდნეტს შესაძლებლობას, რომ დაადაროს ნაშრომები სხვა ნაშრომებს, რათა სტუდენტმა არ გადმოიტანოს ის რაც შეასრულა სხვა ნაშრომში, მან უნდა მოახდინოს ციტირება რასაც არ ზღუდავს ინსტიტუცია. რაც შეეხება გაფორმებს წესს, ინსტიტუცია ცდილობს, რომ სისტემური მიდგომა ჰქონდეს გაფორმებასთან დაკავშრებით, ამიტომ ბოლო 2 სემესტრის განმავლობაშ ინსტიტუციამ გამოიყენა აკადემირუი წერის ცენტრის რესურსი, რომლებმაც ჩაატრაეს რამოდენიმე ტრენინგი აკადემიური წერის კურსის მიღმა, რომელიც შეეხებოდა გაფორმების წესს და ტექნიკურ მხარეს. სამაგიტსრო ნაშრომის ტექნიკური ნაწილის შემოწმება უფრო მეტად არის ხელმძღვანელის კომპეტენცია.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა „ფსიქოლოგიის“ (ძირითადიდადამატებითისპეც იალობები) საბაკალავრო პროგრამისთვის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში სრულად აისახოს ძირითადი სწავლის სფეროს და მისანიჭებელი კვალიფიკაციის რელევანტური სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები.
2. ეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს გაზომვადი სახით.
3. რეკომენდებულია, უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები ისეთი ფორმით იყოს ჩამოყალიბებული, რომელიც იძლევა საუკეთესო გამოცდილების გამოყენების ანალიზის შესაძლებლობას.

რჩევები:

1. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი.
2. სასურველია, სტუდენტთა შეფასების მინიმალური კომპეტენციის რაოდენობრივი მაჩვენებლები შესაბამისობაში მოვიდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვრის არსთან;
3. სასურველია, გამოირიცხოს შეფასების მხოლოდ მაქსიმალური ქულების განსაზღვრა, რადგან აღნიშნული მიდგომა ვერ უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას;
4. პროგრამის გაუმჯობესების მიზნითთ, სასურველია: მიეთითოს, რა განაპირობებს ერთი და იმავე კრიტერიუმის შემთხვევაში განსხვავებული ქულის მიღებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:16
დასრულების დრო: 19:32

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა „ფსიქოლოგიის“ (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში პრაქტიკა იყოს სამაგისტრო პროგრამის კონცენტრაციის შესაბამისი (მაგალითად, ზრდასრულთა კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულების არჩევის შემთხვევაში სტუდენტებმა არ გაიარონ პრაქტიკა ბავშვთა და მოზარდთა მიმართულებით).
2. რეკომენდირებულია პროგრამის სწვალის შედგების გაწერა ცალკეული კონცენტრაციების მიხედვით მომქმედი კანონმდებლობის თანახმად.
3. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს გაზომვადი სახით.
4. დაკორექტირდეს დოკუმენტში „სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია“ არსებული შეუსაბამო ჩანაწერები უარყოფითი შეფასებების განმარტების (FX ვერ ჩააბარა „სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება“ და F - ჩაიჭრა „სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი“) ნაწილში.
5. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელმა პირებმა უზრუნველყონ: სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა, სამაგისტრო ნაშრომში შესრულებული კვლევის მონაცემების ანალიზის/ინტერპრეტაციის დონის/სიღრმის მოთხოვნა და შესაბამისი შეფასება.

6. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის სრულად/სრულფასოვნად უზრუნველსაყოფად.
7. რეკომენდებულია, უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები უნდა იყოს ისეთი ფორმით ჩამოყალიბებული, რომელიც იძლევა საუკეთესო გამოცდილების გამოყენების ანალიზის შესაძლებლობას.

რჩევები:

1. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი.
2. სასურველია, შეფასების მინიმალური კომპეტენციის რაოდენობრივი მაჩვენებლები შესაბამისობაში მოვიდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსთან.
3. სასურველია, გამოირიცხოს შეფასების მხოლოდ მაქსიმალური ქულების განსაზღვრა, რადგან აღნიშნული მიდგომა ვერ უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას.
4. მიეთითოს, რა განაპირობებს შეფასების ერთსა და იმავე კრიტერიუმის შემთხვევაში განსხვავებული ქულის მიღებას.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ (სოციალური ფსიქოლოგია, განათლების ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლისვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეხუთე საკითხი: შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნონა ზუბიტაშვილმა განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაცია „უმაღლესი განათლების პედაგოგიკა და ფსიქოლოგია“ სასწავლო კურსთან მიმართებაში, ექსპერტის თქმით სასწავლო კურსის სილაბუსი განაახლა დაწესებულებამ, დაემატა ბევრი, უახლესი, უცხოური ლიტერატურა, თუმცა ექსპერტის მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა რეკომენდაციის სრულყოფილად შესრულებისათვის, ასევე ყოფილიყო ინფორმაცია იმის თაობაზე თუ სად და რა ფორმით არის წარმოდგენილი განახლებული ლიტერატურა. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, რომელიც შეეხებოდა „ინფორმაცია სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ“, ამ ნაწილში ექსპერტის თქმით, აკრედიტაციის დროს გამოვლენილი იყო ის გარემოება, რომ სახეზე იყო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ნაწილთან სამეცნიერო აქტიურობის პასიურობა. ექსპერტის თქმით, ამ ნაწილში უნივერსიტეტმა მოახდინა რეაგირება, განახლდა პერსონალი და ასევე შემუშავდა სამოქმედო გეგმა თუ რა ღონისძებები უნდა გატარდეს პერსონალის სამეცნიერო აქტივობების წასახალისებლად. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია ცალსახად იყო გათვალისწინებული და პროგრამის სტანდარტში განხორციელდა ცვლილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებეულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ ექსპერტმა სწორი ხედვა და მაღალი კვალიფიკაცია გამოავლინა. ხელმისაწვდომ ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომდგენლმა განმარტა, რომ არასოდეს არ ყოფილა პრაქტიკაში, რომ სილაბუსში იყოს მინიშნება ლიტერატურა მატერიალური სახით იქნება თუ ელოქტრონულით. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, თუკი საბჭო გადაწყვეტს, რომ ლიტერატურას უნდა მიეთითოს თუ რა სახით იქნება წარმოდგენლი, ამას აუცილებლად გაითვალისწინებს ინსტიტუცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:42
დასრულების დრო: 19:44

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

მეექვსე საკითხი: შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულებს არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნანი არაბულმა განმარტა, რომ შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბაკალავრო ინგლისურენოვან პროგრამას ,,კომპიუტერული მეცნიერება“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 21 იანვრის მიენიჭა 7 წლიანი აკრედიტაცია, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების 9 თვეში შესრულების წინაპირობით. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამას

განესაზღვრა 6 რეკომენდაცია. ექსპერტის თქმით, რეკომენდაციების ნაწილი შესრულებული ჰქონდა ინსტიტუციას. პირველი რეკომენდაცია, ექსპერტის განმარტებით ნაწილობრივ იყო შესრულებული, აღნიშნული რეკომენდაცია თვდაპირველად გაიცა, რადგან პროგრამაში სწავლის შედეგები იყო დაყოფილი ცალ-ცალკე სამ პუნქტად (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა). ცოდნა-გაცნობიერების პუნქტში წარმოდგენილი შედეგებში ნაწილი აღწერდა „უნარს“, ასევე „უნარში“ წარმოდგენილი შედეგებში იყო „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის“ აღმწერი ჩანაწერები“. რეკომენდაციების შესრულების შედეგად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შედეგები გაერთიანებულია. თუმცა ექსპერტმა აღინიშნა, რომ რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა „უნარები“ - გაიწეროს ზოგადი დარგობრივი უნარების სახით ცოდნის არეებზე ზედმეტი კონცენტრაციის გარეშე არ იყო შესრულებული. 2.2 ქვესტანდარტში რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა „კომპიუტერულ არქიტექტურას“ ექსპერტმა განმარტა, რომ უდს-ს მიერ წარმოდგენილი სილაბუსებიდან ჩანდა, რომ სასწავლო კურსი „კომპიუტერის არქიტექტურა“ უცვლელი შინაარსით დარჩა პირველ სემესტრში და პროგრამას დაემატა „კომპიუტერის არქიტექტურის გაღრმავებული კურსი“ არჩევით საგანებში. ექსპერტის თქმით, თუ გავითვალისწინებთ, რომ სწავლის შედეგებში კომპიუტერის არქიტექტურის ცოდნა ერთ-ერთი შედეგია, ამ სახით მისი მიღწევა გართულდებოდა. ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, ექსპერტმა განმარტა, რომ დასკვნის არწერილობით ნაწილში იყო დეტალურად ჩამოთვლილი ის სასწავლო კურსები, რომლებშიც საჭირო იყო ლიტერატურის განახლება. ექსპერტის თქმით, ინსტიტუციის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ იყო ორი კურსის სილაბუსები წარმოდგენილი და არც ანგარიშის დოკუმენტიდან ირკვეოდა, რომ ლიტერატურა განახლდა. ეს სასწავლო კურსები იყო: „პროგრამირების პარადიგმები“ (ლიტერატურა 1973წ, 1987წ, 1994წ, 2007წ) „ობიექტზე ორიენტირეუბული დაპროგრამება“ (ლიტერატურა 1995წ, 2003წ).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამებთან ერთად. ექსპერტების წარმოდგენილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, დაწესებულებას ჰქონდა არგუმენტირებული პოზიცია, რაც საბჭომ დიდმნიშვნელოვნად გაიზიარა და გარკვეული რეკომენდაციები გადაიტანა რჩევებში, რის შედეგადაც სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე არ იყო წარმოსადგენი ანგარიში, ხოლო საბაკლავრო პროგრამასთან მიმართებაში გარკვეული რეკომენდაციები გადავიდა რჩევებში, თუმცა გარკვეული რეკომენდაციები დარჩა. დაწესებულების წარმომდგენლის თქმით, პირველ რეკომენდაციასთან მიმართებაში, აკრედიტაციის პირობებში წარმოდგენილ პროგრამაში ჩაშლილი იყო კვალიფიკაციათა ჩარჩოს აღწერის მიხედვით, რასაც დაეთანხმა დაწესებულება და მაშინვე მოიძებნა გადაწყვეტის გზა, ვინაიდან სწავლის შედეგები, როგორც იყო ჩამოწერილი, ეს იყო შესრულებული და ჩამოყალიბებული პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარის მნიშვნელოვანი ჩართულობით. მესამე ნაწილთან მიმართებით, სადაც იყო რეკომენდაცია, რომ „გაიწეროს უნარები ზოგადი დარგობრივი უნარების სახით, ცოდნის არეებზე ზედმეტი კონცენტრაციის გარეშე“. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიის დასაქმების სფეროების მოთხოვნებს, ასევე შეესაბამება სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული სწავლის შედეგების ჩამოყალიბებით ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრებით პროგრამის სწავლის შედეგები აქცენტს აკეთებს, ყველა იმ შედეგზე რაც მნიშვნელოვანია დარგში და დასაქმების ბაზარზე. გარდა ამისა, როდესაც მოხდა პროგრამის წარდგენა სააკრედიტაციოდ, პროგრამა ასევე შეფასებული ჰქონდა დარგის საერთაშორისო ექსპერტებს, პროგრამის სწავლსი შედეგების ჩამოყალიბება მათ მიერ იყო მოწონებული და გაზიარებული. დაწესებულების წარმომდგენლის მოსაზრებით ცოდნის

არეებში კონცენტრაციის დონის და კონკრეტული ცოდნის ან უნარის გამოყოფას და ხაზგასმას არ განსაზღვრავს სტანდარტები, აქედან გამომდინარე დაწესებულება თვლის, რომ ეს იყო უსდ-ს აკადემიური თავისუფლების ნაწილი და ასეთი ფორმულირება უმჯობესია პროგრამის სწავლის შედგების უკეთ წარმოჩენისათვის და ასეთი ფორმულირებით არ ირღვევა აკრედიტაციის სტანდარტები. „კომპიუტერის არქიტექტურასთან“ დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკადემიური პერსონალის მოსაზრებით „კომპიუტერის არქიტექტურის“ კურსი თვისობრივად და რაოდენობრივად იკვლევს კომპიუტერის დიზაინს, ასწავლის კომპიუტერული არქიტექტურის საფუძვლებს და ორგანიზაციას. აღნიშნულ კურსში მიღებული ცოდნა და უნარები სტუდენტს სხვა კომპეტენციის შეძენის შესაძლებლობას აძლევს, ისეთი სასწავლო კურსებისა, რომლებიც შემდგომ სემესტრებში ისწავლება. შესაბამისად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოსაზრებით, პროგრამის სტრუქტურა სწორად არის აგებული. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, არც გარე ექსპერტების მხრიდან ყოფილა რეკომენდაცია ამასთან დაკავშრებით. პროგრამის სწავლის შედგეზე გასვლასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომდგენლის განმარტებით, აღნიშნულ შედგეზე გასვლა ხდებოდა არამხოლოდ ერთი კონკრეტული კურსით, არამედ კიდევ 12 სასწავლო კურსით. სწავლის შედეგების რუკა მითითებულია პროგრამაში და ასევე სწავლის შედგების შეფასების დებულებაში, შესაბამისად პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის მოსაზრებით აღნიშნულ სწავლის შედგეზე გასვლა არ იქნება რთული. სემინართან დაკავშირებით, რომელიც სხვა რამდნეიმე სასწავლო კურსთან ერთად არის რეკომენდაციაში, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსის შემუშავების მიზანი იყო სტუდენტების დახმარება საბაკლავრო ნაშრომის მომზადებაში და შემდგომი კვლევითი უნარჩვევების ჩამოყალიბებაში. აღნიშნული კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს კომპიუტერულ მეცნიერებებთან დაკავშრებული კვლევითი აქტივობები. კურსის შინაარსი არ არის მთლიანად ლატექსის სისტემის შესწავლაზე აგებული, მხოლოდ პირველი 4 კვირის განმავლობაში შეისწვალება ლატექსის საკითხები, რაც სტუდნეტს სჭრდება კვლევითი ნამუშევრის შესრულებისათვის. აღნიშნულ სასწავლო კურსში ლატექსის ცოდნა და გამოყენება მხოლოდ ერთ-ერთი სწავლის შედეგია, მაშინ, როდესაც დანარჩენი სწავლის შედგებია: კველვის პრობლემების ლოგიკური გზით მოდელირება, ცოდნა თუ როგორ სტრუქტურირდება სტატიები და თეზისები... სემინარისათვის სახელის ცვლილება, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ეს ნიშნავს, რომ სათაურთან შესააბამისობაში უნდა მოვიდეს სასწავლო კურსის შინაარსი. ასევე, შესააბაისობაში უნდა მოვიდეს სასწავლო კურსის სწავლის შედგები და ეს გამოივწვევს კურსის მიზნების შედგების და სწავლის შედეგების დარღვევას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული სასწავლო კურსში ლატექსი იკითხება სემინარისთვის და არა პირიქით, შესაბამისად დაწესებულების მოსაზრებით, სახელის ცვლილება დაკარგავს აღნიშნული კურსის მნიშვნელობას და პროგრამის სწავლის შედგების მიღწევას შეუშლის ხელს. სტაჟირებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუციის პოზიციაა, რომ სტაჟირება წარმოდგენს ინგლისურის „ინტერშიფის“ ქართულ შესატყვისს, სილაბუსი შინაარსობრივად მოიცავს პროფესიულ პრაქტიკას და ასევე აკმაყოფილებს სტაჟირების მოთხოვნებს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სახელწოდების ცვლილება არ წარმოადგენდა პრობლემას, თუმცა ინსტიტუცია თვლის, რომ როდესაც არის შესაძებლობა სტუდენტმა გაიაროს სტაჟირება საჯარო დაწესებულებაში, რაც მნიშნელოვანია, საჯარო დაწესებულება როგოც წესი არ ახორციელებს პრაქტიკას, იგი იღებს სტუდნეტებს სტაჟირებაზე. აღნიშნული გარემოების გათავალისწინებით სტუდენტებისათვის უმჯობესი იქნება, თუ კურსის დასახელება დარჩება იგივე. ლიტერატურასტან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დასახელებული სახელმძღვანელოები იყო ის საბაზისო სახელმძღვანელოები, რომლებიც სრულად უზრუნველყოფს პროგრამის დაგეგმილ სწავლის შედგებზე გასვლას და დაწესებულება თვლის, რომ გასათვალისწინებელია, ასევე აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნიკოლოზ აბზიანიძემ ლიტერატურასთან დაკავშრებით განაცხადა, რომ სასწავლო კურსში „პროგრამირების პარადიგმებში“ მითითებული იყო ლიტერატურა, რომელიც იყო 2013 წლის და ასევე 2007 წლის. ასევე სასწავლო კურსში „ობიექტზე ორიენტირეუბული დაპროგრამება“ მითითებულია 2017 წლის სახელმძღვანელო. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, არეული იყო დამატებითი და ძირითადი ლიტერატურა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნულ სასწავლო კურსებში ლიტერატურაა შეესაბამებოდა მოთხოვნებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა არ იყო კომპიუტერული ინჟინერიიის, არამედ კომპიუტერული მეცნიერებების და ისწავლება „კომპიუტერული არქიტექტურა“ იმ დოზით, რომელიც აძლევს სტუდნეტს ეხმარება შემდგომ სასწავლო კურსებთან მიმართებაში, რადგან შემოდის პროგრამირების ელემენტები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, რომ არა კომპიუტერული არქიტექტურის კარგად ცოდნა პროგრამული კოდის დაწერა არ იქნება შესაძლებელი. დაწესებულების წარმომადგენელმა გნამრტა, რომ სასწავლო კურსებთან მიმართებაში კომპიუტერული გრაფიკა 1 და 2-თან მიმართებაში რეკომენდაცით გათვალისწინებული საკითხი გასწორებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ საინტერესო იქნებოდა სილაბუსების მდგომარეობის დაზუსტება. მისი თქმით უნდა დაზუსტდეს, რაზე მიმდინარეობს მსჯელობა, იმ სილაბუსზებზე რომელიც ვერ ნახეს ექსპერტებმა.

საბჭოს წევრმა, დავით კაპანაძემ განმარტა, რომ მნიშვნელოვანი იყო „კომპიუტერის არქიტექტურასთან“ დაკავშირებული საკითხის განხილვა. მან კითხვით მიმართა ორივე მხარეს, შეიცვალა თუ არა აღნიშნული სასწავლო კურსი, რადგან ანგარიშით და ცვლილებების დოკუმენტის მიხედვით, განმარტებულია, რომ გარკვეული მოდიფიკაცია მოხდა სასწავლო კურისის. საბჭოს წევრის თქმით, მათ არ ჰქონდათ საშუალება ენახათ ძველი და ახალი სილაბუსი, ხოლო ექსპერტს ჰქონდა და საინტერესოა მათლა იყო თუ არა ცვლილებები შეტანილი. გარდა ამისა, საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, თუ რა საკითხები იყო ისეთი, რომელსაც აკლდა სიღრმე. საბჭოს წევრმა, ასევე „ლატექსთან“ დაკავშირებულ საკითხზე აღნიშნა, რომ თუკი კამათი იყო სათაურის დარქმევაზე, საბაკლავრო პროგრამაში საბაკლავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში შესაძლებელია ლატექსი არ გახდეს საჭირო. თუმცა თუ სტატიებს დაწერს სტუდენტი, ზოგიერთი გამომცეცმლობა ითხოვს ლატექსის ფორმას. საბჭოს წევრის თქმით, ლიტერატურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაში დაფიქსირებული სასწავლო კურსები არ იყო წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და ასევე არ იყო მთლიანად პროგრამა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ორი სილაბუსი, რომლის ლიტერატურაზეც იყო საუბარი, არ იყო გამოგზავნილი ანგარიშის დოკუმენტთან ერთად და შესაბამისად ექსპერტმა იხელმძღვანელა ძველი სილაბუსით. არქიტექტურის სილაბუსთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ „არქიტექტურის სილაბუსი“ იყო წარმოდგენილი დოკუმენტაციაში, ანგარიშის დოკუმენტში იყო მითითება, რომ აღნიშნული დოკუმენტი შეიცვალა და გარკვეული ცვლილებები განიცადა და დაემატა გაძლიერებული კურსი არჩევით საგნად. ექსპერტის თქმით, მას ჰქონდა შესაძლებლობა გადაემოწმებინა და გადამოწმების შედეგად ნახა, რომ შინაარსში არანაირი ცვლილება არ იყო. მისი განმარტებით, ზოგადად არქტიტექტურის კურსი ყველგან ისწავლება, ხოლო კომპიუტერული მეცნიერებისთვის კომპიუტერული არქიტექტურა მნიშვნელოვანი კურსია, ასევე ის არასდროს არ ისწავლება პირველ სემესტრში, როდესაც სტუდენტები სწავლობენ გარკვეულ დონეზე ალგორითმიზაციას, სტრუქტურებს და ა.შ, მხოლოდ მერე იწყება აღნიშნული არქიტექტურის სწავლა. ექსპერტის თქმით, იყო პირველ სემესტრში იყო აღნიშნული კურსი მოცემული და გადატანილ უნდა იქნას ზედა საფეხურზე, რათა სტუდენტებისთვის გასაგები იყოს აღნიშნული თემატიკა. სემინართან დაკავშირებული რეკომენდაცია, ექსპერტის განმარტებით მიმართული იყო იქითკენ, რომ სახელი გადარქმეოდა, თუმცა შესაძლებელი იყო სემინარის დატოვება და სემინარის თემებით გაძლიერებულიყო სილაბუსი. რაც უფრო საინტერესოს გახდიდა აღნიშნულ სასწავლო კურსს. ექსპერტის თქმით,

შესაძლებელია ისწავლება, თუმცა არც სილაბუსიდან ჩანს ეს რომ მიმდინარეობს სემინარი და სემინარზე მუშაობა, ასევე გასაუბრებისას პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმაც განმარტა, რომ ძირითადად მიმდინარეობდა ლატექსის პროგრამის შესწავლა. შესაძლებელი იყო სახელი დარჩენილიყო თუმცა შეცვლილიყო თემატიკა, როგორც სხვა სილაბუსებში განახორციელა დაწესებულებამ.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნიკოლოზ აბზიანიძემ განმარტა, რომ მოხდა ტექნიკური შეცდომა, წარმოდგენილი სილაბუსების ძირითად და დამატებით ლიტერატურაში. დამატებით ლიტერატურაში არის მითითებული ახალი ლიტერატურის დამატება. წარმოდგენილ სილაბუსებში ადგილები არის გადასანაცვლებელი ძირითად და დამხამრე ლიტერატურებში.
ექსპერტთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ მისთვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული სილაბუსები არ იყო წარმოდგენილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, კომპიუტერულ არქიტექტურასტან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი თავისი შინაარსით და დატვირთვით სავსებით აკმაყოფილებს იმ ფორმას, რაც კომპიუტერული მეცნიერებების საბაკლავრო პროგრამას სჭირდება, რადგან მისი მიმართულება პროგრამირების კუთხით სავსებით აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს რაც არის საჭირო. თუმცა ის დანამატი, რაც დაემატა დაეხმარება სტუდტენს საბაკაკლავრო ნაშრომის შესრულებაში. აღნიშნულ „კომპიუტერული არქიტექტურის“ სასწავლო კურსს დაემატა არჩევითი კურსი, თვითონ კურსი შენარჩუნდა.
საბჭოს წევრმა, დავით კაპანაძემ განმარტა, რომ „კომპიუტერული არქიტექტურის“ სასწავლო კურსთან მიმართებაში დაწესებულების მხრიდან იყო განმარტება, რომ გაღრმავდა სასწავლო კურსი.
ცენტრის წარმომადგენელმა, დაადასტურა, რომ პროგრამის როგორც ქართულენოვანი ასევე ინგლიუსურ ენოვანი ვერსია იყო წარმოდგენილი გამოგზავნილ დოკუმენტაციაში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, განმარტა, რომ ანგარიშის დოკუმენტში, რომელიც გამოაგზავნა უსდ-მ წერია, რომ აღნიშნული სილაბუსი „კომპიუტერული არქიტექტურა“ გაღრმავდა, განიცადა გარკვეული ცვლილება და ასევე დაემატა არჩევითი სასწავლო კურსი. ექსპერტის თქმით, სილაბუსში არ ჩანს ცვლელებები და იგივეა რაც იყო გამოგზავნილი აკრედიტაციის პირობებში.
საბჭოს წევრმა, დავით კაპანაძემ დააფიქსირა მოსაზრება, რომ „კომპიუტერული არქიტექტურა“ ბევრ საგანს სჭირდება წინაპირობად, შესაბამისად მისი გადატანა მეორე სასწავლო წელს შესაძლებელია საკამათო იყოს.
 დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ სემინართან დაკავშირებით განმარტა, რომ სემინარში გათვალისიწნებული იყო ბევრი პრეზენტაციები სასწავლო კურსებში. მისი თქმით, სემინარები ტარდება არა სალექციო უფრო ნაკლებად ფორმალურ გარემოში, სადაც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს ლექტორების, აკადემიური პერსონალის მიერ გაკეთებულ პრეზენტაციებს და თვითონაც გააკეთონ პრეზენტაციები საკვლევ საკითხთებთან დაკავშირებით და კონკრეტული პრეზენტაციების მაგალითზე მოხდეს ჩვენება, შესწავლა იმ ყველა საკითის, რაც გაწერილია პროგრამის სწავლის შედგებეში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარი რაზმაძემ დაამატა, რომ სემინარი სამაგისტრო და სადოქტორო დონეზეც გრძელდება. იწყება საბაკალავრო დონეზე და „ლატექსი“ სწორედ იმიტომ ისწავლება, რომ კომპიუტერულ მეცნიერებაში ხშირ შემთხვევაში ნაშრომები მათემატიკურ გათვლებზე არის დაფუძვნებული, შესაბამისად ლატექსის ცოდნა კარგად ადგება მომავალში მაგისტრატურაზე გასაგრძელებლად. ინსტიტუციამ განსაზღვრა, რომ ამ დოზით 4 კვირის განმავლობაში საჭიროა ლატექსის შესწავლა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:30
დასრულების დრო: 21:05

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. ცოდნა და გაცნობიერება“ - პუნქტები გაიწეროს საგნების სწავლის შედეგების განზოგადების სახით; ამოღებულ იქნას უნარების აღმწერი ჩანაწერები
2. „უნარები“ - გაიწეროს ზოგადი დარგობრივი უნარების სახით ცოდნის არეებზე ზედმეტი კონცენტრაციის გარეშე.
3. „ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა“ - დაემატოს აკადემიური და პროფესიული პასუხისმგებლობის აღმწერი პუნქტი.
4. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსი „.კომპიუტერის არქიტექტურა“.
5. განახლდეს რიგ სილაბუსებში ძირითადი სასწავლო ლიტერატურა.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვის შედეგად, საბჭომ კენჭისყრაზე დააყენა აკრედიტაციის პირობების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის, 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერების“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვის შედეგად, საბჭომ მიმართა ცენტრს აკრედიტაციის პირობების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ შუამდგომლობით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 10 დეკემბრის 21:07 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ